

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №197

2021 წლის 28 აპრილი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – კონტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი – კონტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი – კონტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა თავი I შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორია

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავებულია კონტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის, რომლებიც მოიცავს კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალსა და კონტრიშის ეროვნულ პარკს. მენეჯმენტის გეგმა შემუშავდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის N110 ბრძანებით დამტკიცებული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების შესახებ დებულების შესაბამისად.

2. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნებისა და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც უნდა განახორციელოს შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ მოცემული მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადაში.

მუხლი 2. კონტრიშის დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა

„კონტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის“ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოს დამატებით ნაწილებს წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. კონტრიშის დაცული ტერიტორიების შექმნის მთავარი მიზნები

კონტრიშის დაცული ტერიტორიების შექმნის მთავარი მიზანია კოლხური ტიპის ფლორისა და ფაუნის (მათ შორის, იქ არსებული ენდემური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობების) დაცვა და შენარჩუნება. დაცვის ძირითადი ობიექტია კოლხური რელიქტური ტყე: წაბლისა



და წიფლის ტყეები მარადმწვანე ქვეტყით, ასევე პონტური მუხა (*Quercus pontica* C.Koch), მედვედვის და მეჭექიანი არყი (*Betula Medwedewii* Regel, *B. Litwinowii* Doluch), უნგერნის და სმირნოვის შქერი (*Rhododendron ungerii* Trautv., *R. smirnovii* Trautv. ex Regel), კოლხური ბუა (*Buxus colchica* Pojark), კოლხური ჯონჯოლი (*Staphylea colchica* Stev.) და სხვა.

მუხლი 4. მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

მენეჯმენტის გეგმა შემუშავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის №110 ბრძანებით დამტკიცებული დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების შესახებ დებულებით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით, დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო (SPPA)-ს მხარდაჭერით, ეროვნული და საერთაშორისო კონსულტანტების გუნდის ხელშეწყობით, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ, ასევე, ადგილობრივი „მრჩეველთა რეგიონული საბჭოს“, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. მენეჯმენტის გეგმის დამუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ საფეხურებს (ცხრილი 1):

ცხრილი 1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამუშავების პროცესი

N	თარიღი	საქმიანობა
1	17-18 ოქტომბერი, 2018 წ.	დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის, რეგიონალური საკონსულტაციო საბჭოს და დაინტერესებული მხარეების სამუშაო შეხვედრა მართვის დაგეგმვის პროცესის სამუშაო გეგმის შესათანხმებლად და ტრენინგები მართვის გეგმის დამუშავების მეთოდოლოგიის შესახებ
2	6 ნოემბერი, 2018 წ.	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმის შემუშავება. ზონირების რუკის პირველი ვერსიის შემუშავება კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად.
3	7 ნოემბერი, 2018 წ.	შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და მათთან ზონირების რუკის მეორე ვერსიის განხილვა.
4	8 ნოემბერი, 2018 წ.	ზონირების რუკის მესამე ვერსიის განხილვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.
5	3 დეკემბერი, 2018 წ.	სამუშაო შეხვედრა კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, მრჩეველთა რეგიონულ საბჭოსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი მიზნების შემუშავება-განხილვისა და დაცული ტერიტორიების ღირებულებებზე არსებული პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის შესაფასებლად.
6	28 თებერვალი, 2019 წ.	შეხვედრა რეგიონულ მრჩეველთა საბჭოსთან, კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ზონირების რუკის საბოლოო ვერსიის განსახილველად.
7	1 მარტი, 2019	შეხვედრა რეგიონულ მრჩეველთა საბჭოსთან, კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამების შესამუშავებლად (პირველი შეხვედრა).
8	14 მაისი, 2019	შეხვედრა კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან პროგრამების შესამუშავებლად (მეორე შეხვედრა).
9	15 ნოემბერი, 2019 წ.	კინტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა.

მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადა



მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან მომდევნო 9 წლის განმავლობაში, გარდა მენეჯმენტის გეგმის 39-ე-41-ე მუხლებისა და №14 და №15 დანართებისა, რომლებიც ძალაშია ახალი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე.

მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტალისა, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

კინტრიშის დაცული ტერიტორიების აღწერა

მუხლი 7. ადგილმდებარეობა და ტერიტორია

1. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს უკავია 13 514 ჰა, რომელიც შედგება კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალისა (3 108 ჰა) და კინტრიშის ეროვნული პარკისგან (10 406 ჰა). დაცული ტერიტორიები განლაგებულია მდინარე კინტრიშის ხეობაში შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის (მესხეთის) ქედს შორის (დანართი 1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადგილმდებარეობა). კინტრიშის ტერიტორია გარშემორტყმულია აჭარა-გურიის, ჩაქვის და ქობულეთის ქედებით. ისინი გამოყოფენ ტერიტორიას ჩოლოქის და აჭისწყალის აუზებიდან, გურიასა და შიდა აჭარისგან. კინტრიშის ხეობა შემოსაზღვრულია მთიანი ხეობებით სამი მხრიდან და ღიაა მხოლოდ დასავლეთით შავი ზღვისკენ
2. კინტრიშის დაცული ტერიტორია მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. აჭარის კიდევ ორი მუნიციპალიტეტი ესაზღვრება კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს: შუახევი აღმოსავლეთიდან და ქედა – სამხრეთიდან. კინტრიშის სამხრეთ საზღვრის ჩრდილოეთ ნაწილი მიჯნავს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს მტირალას ეროვნული პარკისგან. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან კინტრიშის დაცულ ტერიტორიები შემოსაზღვრულია ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის მიწებით (დანართი 2. კინტრიშის დაცული ტერიტორიების საზღვრები).
3. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალს უკავია 3 108 ჰა ტერიტორია და მას მართავს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია. მისი ჩრდილოეთ საზღვარი მიჰყვება მდინარე აჭისწყლის ველის წყალგამყოფს. საზღვრები დასავლეთ და სამხრეთ მხრიდან მიჰყვება კინტრიშის ველს, ხოლო აღმოსავლეთ საზღვრები მდინარე ჭერულის ღელეს, რომელიც ჩაედინება მდინარე კინტრიშში.
4. კინტრიშის ეროვნული პარკი იკავებს 10 406 ჰა-ს და მას მართავს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია. ჩრდილოეთ საზღვარი მიჯნავს მას კინტრიშის ნაკრძალისგან და მიჰყვება კინტრიშის ველს. მისი სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრები გრძელდება აჭარა-იმერეთის ქედის გასწვრივ. ჩრდილო- დასავლეთი საზღვარი მიჰყვება ქობულეთის ქედს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი – მორვილის ქედს.

მუხლი 8. კინტრიშის დაცული ტერიტორიები ეროვნულ და ტრანსსაზღვრულ კონტექსტში

1. კინტრიშის დაცული ტერიტორია მიეკუთვნება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების მართვის ორ კატეგორიას: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი – კატეგორია Ia და კინტრიშის ეროვნული პარკი – კატეგორია II. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი ერთ-ერთი ნაკრძალია საქართველოში არსებულ 14 ნაკრძალს შორის, ხოლო კინტრიშის ეროვნული პარკი შედის საქართველოში არსებულ 12 ეროვნულ პარკში.
2. კინტრიშის დაცული ტერიტორიების გარდა, აჭარის დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება მტირალას, მაჭახელას და ქობულეთის დაცული ტერიტორიები (დანართი 3. კინტრიშის დაცული ტერიტორიების



ადგილმდებარეობა რეგიონის ფარგლებში).

3. კინტრიშის დაცული ტერიტორიები უშუალოდ ესაზღვრება მტირალას ეროვნულ პარკს, ქმნის რა დაცული ტერიტორიების უწყვეტ მასივს 26 212 ჰა ფართობით.

4. მაჭახელას ეროვნულ პარკთან ერთად კინტრიშის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი ქმნიან დაცული ტერიტორიების ქსელს, რომელიც იცავს რეგიონის კოლხურ რელიქტურ ტყეებს.

5. კინტრიშის დაცული ტერიტორიები 3 სხვა დაცულ ტერიტორიასთან ერთად (კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი) UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად არის ნომინირებული.

მუხლი 9. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ისტორია

1. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1959 წლის 22 იანვარს №506 დადგენილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ქობულეთის სატყეო მეურნეობიდან კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალისთვის გამოიყო 6 000 ჰა ფართობი. 1986 წელს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს №202 დადგენილების მიხედვით, დამატებით 6 727 ჰა ფართობი გამოიყო მკაცრი დაცვის პირობით და კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიამ შეადგინა 13 893 ჰა.

2. ნაკრძალის შექმნის მიზანი იყო მესამეული კოლხური ტიპის ფლორის და ფაუნის შემონახვა და შესწავლა. დაცვის მთავარ ობიექტებს წარმოადგენდა წაბლის და წიფლის ტყეები მარადმწვანე ბუჩქნარით.

3. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნამდე კინტრიშის ველი მჭიდროდ იყო დასახლებული. ნაკრძალის სტატუსის მინიჭების შემდეგ მოსახლეობა გადასახლდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში, თუმცა სეზონურად, თბილ პერიოდში, ადგილობრივი მოსახლეობა ბრუნდებოდა და იყენებდა დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ რესურსებს. იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ ტერიტორიების სეზონური გამოყენება, 2007 წელს, საქართველოს კანონის „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ შესაბამისად, მკაცრი დაცვის ნაკრძალის 3190 ჰა ტერიტორიას შეეცვალა სტატუსი და მიენიჭა კინტრიშის დაცული ლანდშაფტის სტატუსი (2007 წლის 22 ნოემბერი, N5486-III).

4. 2018 წლის 27 დეკემბერს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები (N4236-რს), რომლის საფუძველზეც შეიქმნა კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (3 108 ჰა) და კინტრიშის ეროვნული პარკი (10 406 ჰა).

მუხლი 10. გეოლოგია და ჰიდროლოგია

1. რელიეფი – კინტრიშის დაცულ ტერიტორიები იკავებს აჭარა-იმერეთის (მესხეთის) ქედის დასავლეთ ნაწილს. რელიეფი მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ტერიტორია ხასიათდება საშუალო სიმაღლის მთებით და მდინარე კინტრიშის და მისი შენაკადების მიერ ფორმირებული ხეობებით. დაცული ტერიტორიები ზღვის დონიდან 300-2,500 მ სიმაღლეზეა გადაჭიმული. ტერიტორიისთვის დამახასიათებელია ნებისმიერი დახრილობის და ექსპოზიციის ფერდობები, რომელსაც ენაცვლება სანაპირო მოვაკებები. უმაღლესი წერტილი კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არის მთა სარბიელა (2,471 მ ზღვის დონიდან). დაცული ტერიტორიების ფარგლებშია ასევე მოქცეული მთები: პერანგა (2,334მ), გვანცა (2,153 მ), კალვა (1,763 მ), ტურამი (1,379 მ) და კაპრონის სერი (1,354 მ).

2. გეოლოგიური სტრუქტურა – კინტრიშის გეოლოგია ფორმირებულია პალეოცენის, ეოცენის, ოლიგოცენის, პლიოცენის და პოსტ-პლიოცენის პერიოდების დანალექი და ცარცის და მესამეული პერიოდის ვულკანური ქანებით. უფრო ხშირად გვხვდება ბაზალტები, ანდეზიტები და სხვადასხვაგვარი ტუფები და ტუფო-ბრეკჩიები. ზერაბოსელის, ასევე, სოფელ ჭახათის შემოგარენში გავრცელებულია ბაზალტები, ფიქლები, ქვიშაქვები. სოფელ ხინოს ზემო ტერიტორიაზე დომინირებენ კირქვები.

3. ნიადაგები – ნიადაგების ვერტიკალური ზონირება დამახასიათებელია აჭარის რეგიონისათვის. კინტრიშის ხეობაში აღინიშნება შემდეგი ტიპის ნიადაგები (დანართი 4. კინტრიშის დაცული



ტერიტორიების ნიადაგები):

ა) წითელმიწა ნიადაგი დამახასიათებელია 600 მეტრამდე ზღვის დონიდან;

ბ) ყვითელ-ყომრალი ნიადაგები (Ocsic Cambisols გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-ს) მიხედვით) გავრცელებულია 1,000 მეტრ სიმაღლემდე ზღვის დონიდან;

გ) ყომრალი ნიადაგი გავრცელებულია 1,000-1,100 მ-დან 1,500-1,880 მ-მდე ზღვრებში ზღვის დონიდან და

დ) მთა-მდელოს კორდიანი და მთა-მდელოს კორდიან-ტორფნარი ნიადაგები კი დამახასიათებელია 1,800-2,600 მ ზღვის დონიდან სიმაღლეზე.

4. კონტრიშის დაცულ ტერიტორიებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ყომრალი ტიპის ნიადაგები.

5. ჰიდროლოგია

ა) კონტრიშის დაცული ტერიტორიები მდიდარია ჰიდროლოგიური რესურსებით (დანართი 5. ჰიდროლოგიური რუკა). აქ არის მცირე და საშუალო ზომის მდინარეები. კონტრიშის წლის აუზის საერთო ფართი შეადგენს 284 კმ², რომლის უდიდესი ნაწილი მდებარეობს დაცული ტერიტორიების ქვედა მხარეს. კონტრიშის აუზი მოიცავს მდინარე კონტრიშსა და მის შენაკადებს. მდინარე კონტრიში იწყება ზღვის დონიდან 2,400 მ სიმაღლეზე ხინოს მთიდან და უერთდება შავ ზღვას ქობულეთთან ახლოს. მისი სიგრძე შეადგენს 45 კილომეტრს. მდინარის მხოლოდ 25-კილომეტრიანი ნაწილი მიედინება კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში;

ბ) მდინარე კონტრის გააჩნია ბევრი შესართავი. მდინარის ზედა მხარეს სოფელ დიდვაკესთან უერთდება ჭიდილის ღელე და წერაქვათი ღელე, შემდეგ ხენკა და კობრონის წყალი და კინკიში, ზერაბოსელთან ახლოს. სხვა, მცირე შენაკადები, მათ შორის საკირისღელე, მიზანათი ღელე, ლაშქის ღელე, წერულა, მაღალხევი, საკირეა, აბშილა და ბოლქვაძეები;

გ) ზოგიერთი მდინარე წარმოქმნის ჩანჩქერებს კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. აქ არის 30 მ სიმაღლის მდინარე მისანათის ჩანჩქერი და ორსაფეხურიანი 70 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი მდინარე ჩრდიალაზე. კონტრიშის დაცული ტერიტორიები ასევე მდიდარია წყაროებით;

დ) მდინარეები და მცირე ღელეები ძირითადად იკვებებიან წყაროებით და ალპური და სუბ-ალპური მთებიდან თოვლი დნობის შედეგად წარმოქმნილი წყლებით. კოკისპირული წვიმების დროს მდინარე კონტრიშის ნაკადის დებიტმა შეიძლება მიაღწიოს 60-90 მ³/წმ-ში;

ე) კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ასევე არის ორი ტბა. ტბიყელის ტბა მდებარეობს 2,200 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ის იკვებება გრუნტის წყლებით და ატმოსფერული ნალექებით. დიდვაკის ტბაც ასევე დაცული ტერიტორიის ფარგლებშია.

მუხლი 11. კლიმატი

1. კლიმატი კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არის ტენიანი და თბილი. მაგრამ, არამარტო მისი გაშლილი მდებარეობა განაპირობებს კლიმატს დაცულ ტერიტორიებზე, არამედ შავი ზღვის სიახლოვე და ტერიტორიის კომპლექსური ოროგრაფია. კონტრიშის დაცული ტერიტორიები არის უკიდურესად ნესტიანი მისი შავ ზღვასა და აჭარა-იმერეთის ქედს შორის მდებარეობის გამო. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვერტიკალური ზონირების შედეგია კლიმატის ვერტიკალური ზონალურობა დაცული ტერიტორიების ფარგლებში.

2. ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლემდე, სადაც გადის შერეული კოლხური ტყეების ზედა საზღვარი, საშუალო ტემპერატურა შეადგენს 12⁰C. ყველაზე ცივი თვეა იანვარი. საშუალო ტემპერატურა აგვისტოში არის 24⁰C. აბსოლუტური მინიმუმი იშვიათად ჩამოდის 10⁰C-ის ქვემოთ.

3. 500-1,000 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ზომიერად ცივი ზამთარი ხანგრძლივი თოვლის საფარით



ჩვეულებრივი მოვლენაა. ზაფხული არის თბილი და ხანგრძლივი. ნალექების რაოდენობა არის 2,500 მმ-ზე მეტი. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 10-11⁰C. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა არის - 12⁰C.

4. 1,000-1,800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, საშუალო ტემპერატურა შეადგენს 8.5-9⁰C. ყველაზე ცივი თვე არის იანვარი - საშუალო ტემპერატურით 0.5⁰C. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა მერყეობს - 16-17⁰C ფარგლებში. ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 15-15.5⁰C. ნალექების წლიური რაოდენობა არის 3000 მმ.

5. 1,800-2,400 მ სიმაღლის ზღვრებში ზაფხული მოკლეა და ზამთარი გრძელი. ვეგეტაციის პერიოდი გრძელდება 3.5-4.5 თვე. თოვლის საფარი გვიან გაზაფხულზე ჩვეულებრივი მოვლენაა.

მუხლი 12. ლანდშაფტები და ბუნებრივი გარემო

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტები შემდეგნაირია (დანართი 6. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტები):

- ა) მთისწინეთის ბორცვიანი ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი კოლხურ ტყეებთან ერთად;
- ბ) ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი კოლხური ჰემიჰილეებით;
- გ) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარი და წიფლნარ-წაბლნარი ტყეებით, მარადმწვანე ქვეტყით ზოგან შქერიანით (*Rhododendron ponticum* L.);
- დ) საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი წიფლნარ-მუქწიწვიანებითა და მუქწიწვიანებით (აღმოსავლური ნამვი, კავკასიური სოჭი), მარადმწვანე ქვეტყით;
- ე) ჰიდრომორფული და სუბჰიდრომორფული ლანდშაფტები: დაჭაობებული უბნები და ჭალის ლანდშაფტების არეალები არყის ხის, ზოგან ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის, კოხის ფიჭვის) ტყეებითა და პონტოური მუხის დაბალტანიანი ტყეებით;
- ვ) მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი მაღალბალახოვანი და ხშირბალახოვანი მდელოების კომპლექსით, ბუჩქნარებითა და ტანბრეცილი ტყეებით (წიფლისა და არყის ხის);
- ზ) ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, იშვიათად პალეოგლაციალური ლანდშაფტი და ჭალის ლანდშაფტის არეალები.

2. კონტრიშის დაცული ტერიტორიის მცენარეული საფარი საქართველოს მცენარეულობის ზონირების მიხედვით განეკუთვნება დასავლეთ კავკასიურ-კოლხურ ტიპს (ზაზანაშვილი და სხვ., 2000) და ხასიათდება ვერტიკალური ზონალობით. ტერიტორიის ფარგლებში გვხვდება ტენიანი თერმოფილური კოლხური ფართოფოთლოვანი ტყის ზონა, ტენიანი წიფლის ტყის ზონა, შერეული ტენიანი წიწვოვანი ტყის ზონა, სუბ-ალპური ტანბრეცილი ტყის და სუბ-ალპური მდელოები ზონები. ვერტიკალური ზონირების და მიხედვით აღსანიშნავია შემდეგი ჰაბიტატები:

- ა) ტენიანი თერმოფილური კოლხური ფართოფოთლოვანი ტყე გვხვდება ზღვის დონიდან 100-1,200 მ ფარგლებში და გააჩნია 2 ქვე-ზონა: შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ზოლი და წაბლის ტყის ზოლი. შერეული ფართოფოთლოვანი ტყე გვხვდება 500 მ სიმაღლემდე, მაშინ, როდესაც წაბლის ტყის ზოლი გადაჭიმულია 500-1,100 მ სიმაღლეზე. შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები შედგება 14-20 მ სიმაღლის სახეობებისგან, რომელთა შორისაა აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica* Grossh), კავკასიური ცაცხვი (*Tilia begoniifolia* Stev (*Tilia caucasica* Rupr.)), წაბლი (*Castanea sativa* Mill) და სხვ. და ქვეტყე - 4-12 მ სიმაღლის ხეები და ბუჩქნარი, ძირითადად თბილი (*Corylus avellana* Linne), ხეჭრელი (*Frangula alnus* Mill), ჩვეულებრივი ძახველი (*Viburnum opulus* Linne), ანწლი (*Sambucus nigra* Linne), etc.) და 2-3 მ სიმაღლის მარადმწვანე და ფართოფოთლოვანი ბუჩქნარი, როგორებიც არის შქერი (*Rhododendron ponticum* Linne), წყავი (*Laurocerasus officinalis* M.Roem), კოლხური ბაბგი (*Ilex colchica* Pojark), კოლხური ბზა (*Buxus colchica*



Pojark), იელი (*Rhododendron luteum Sweet*), ხისმაგვარი შტომი (*Vaccinium arctostaphylos Linne*), და უფრო იშვიათი ევროპული ჭანჭყატი (*Euonymus leiophlea L.*). ლიანები, როგორცაა კოლხური სურო (*Hedera colchica C.Koch*), კატაბარდა (*Clematis vitalba Linne*), სვია (*Humulus lupulus Linne*), მაკრატელა (*Periploca graeca Linné*), ცხრატყავა (*Lonicera caprifolium Linne*) რომლებიც ტიპურია შერეული კოლხური ტყისთვის. აქ აგრეთვე გვხვდება ბალახოვანი მცენარეულობა.

ბ) წაბლის ტყეები გავრცელებულია 500 და 1,000-1,100 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და დომინირებს ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa Mill*) და აღმოსავლეთის წიფელი (*Fagus orientalis Lipsky*) ძირითადად. გარდა ამისა, გვხვდება შემდეგი სახეობები: კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica Grossh*), მურყანი (*Alnus barbata C.A. Mey*), კავკასიური ცაცხვი (*Tilia caucasica Rupr.*, *Tilia begoniifolia Stev* (*Tilia caucasica*)), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis (L.) Peterm*), შიშველი თელადუმა (*Ulmus scabra Mill. (Syn – Ulmus grabla)*). ქვედა იარუსი შედგება კოლხური ქვეტყისგან ბუჩქნართან ერთად (დეკას, მოცვს და სხვა). ლიანებიდან აქ გვხვდება კოლხური სურო (*Hedera colchica C. Koch*), კატაბარდა (*Clematis vitalba Linne*), სვია (*Humulus lupulus Linne*), მაკრატელა (*Periploca graeca Linne*).

გ) წიფლის ტყის სარტყელი გავრცელებულია 1,000-2,100 მ სიმაღლეზე. აღმოსავლურ წიფელთან ერთად (*Fagus orientalis Lipsky*) ქვედა საზღვარში გავრცელებულია ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa Mill*), კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica Grossh*), კავკასიური ცაცხვი (*Tilia caucasica*), და კოლხური ქვეტყე, რომელიც შედგება იელის (*Rhododendron ponticum Linne*), ხისმაგვარი შტომის (*Vaccinium arctostaphylos Linne*), იელი (*Rhododendron luteum Sweet*), პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum L.*), უნგერნის შქერი (*Rhododendron ungerii L.*), კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasicum Pall.*), და სხვა სახეობებისგან. ზედა საზღვარზე შესაძლოა აღმოსავლური წიფელი და კავკასიური (ნორდმანის) სოჭის ცალკეულ სახეობებთან (*Abies nordmanniana (Stev.) Spach*) და აღმოსავლურ ნაძვთან (*Picea orientalis (L.) Peterm*) ერთად იყოს წარმოდგენილი.

დ) წიწვოვანი ტყეები გვხვდება 1,800-2,100 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ეს სარტყელი წარმოდგენილია კავკასიური სოჭის (*Abies nordmanniana (Stev.) Spach*), აღმოსავლური ნაძვის (*Picea orientalis (L.) Peterm*) და აღმოსავლურ წიფელის (*Fagus orientalis Lipsky*) ტყეებით კოლხურ ქვეტყესთან ერთად.

ე) სუბალპური ტანბრეცილი ტყე, ბუჩქნარი და სუბალპური მდელოები გავრცელებულია 1,800-2,400 მ სიმაღლეზე. აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis Lipsky*) ტიპურ ტანბრეცილ ტყეებთან ერთად გვხვდება მეჭეჭიანი არყი, ლიტვინოვის არყი (*Betula litwinowii Doluch*), ასევე ენდემური და რელიქტური სახეობები: მედვედევის არყი (*Betula medwedewii Regal*), პონტოს მუხა (*Quercus pontica C.Koch*), ხეჭრელი (*Rhamnus imeretina Booth*), მთის მოცხარი (*Ribes biebersteinii Berland*). ბუჩქნარიანი ქვეტყე მდიდარია მცენარეული სახეობებით, მათ შორის დეკა (*Rhododendron caucasicum Pall*), წყავი (*Laurocerasus officinalis M.Roem*), კოლხური ბაძგი (*Ilex colchica Pojark*), დაფნა (*Daphne albocviana Linne*), და სხვ. მაღალი ბალახოვანი მცენარეულობიდან – გუგულის სელი (*Polystichum lobatum (Huds.) C. Presl.*), ირმის ენა (*Phyllitis scolopendrium (L.) Newman*), მედვედევის ისლი (*Carex medwedewii Leskov*), ისლურა (*Luzula pseudosudetica V.Krecz*), კესანე (*Myosotis amoena Ruprand others*) არის წარმოდგენილი აქ. კოლხური დეკიანები წარმოდგენილია დეკას (*Rhododendron caucasicum Pall*) დამოუკიდებელი სახეობებით ჩრდილო და დასავლეთ ფერდობებზე.

ვ) სუბალპურ მდელოებზე გვხვდება მაღალი ბალახოვანი მცენარეულობა და შედგება სამი ძირითადი – მარცვლოვანი კულტურების, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ნაირბალახოვანი მდელოებისგან. ყვითელთავთავა (*Anthoxanthum odoratum Linne*), მახრჩობელა (*Deschampsia caespitosa (L.) P. Beauv.*), ოქროშვრია (*Trisetum flavescens Linne*), ტიმოთეს ბალახი (*Phleum alpinum Linne, Ph. Nodosum. Linne*) სახეობები, ალპური ლურჯი ბალახი (*Poa supina Schrad., P. Alpina Linne*), ველის წივანა (*Festuca supina Schur.*), ანემონი (*Anemone fasciculata Linne*), ბეტონიკა (*Betonica grandiflora*), კავკასიური კულმუხო (*Inula glandulosa Lamand*) ტიპურია 2,200-2,400 სიმაღლეზე მდებარე მინდვრებისთვის.

ზ) ნაშალ-ღორღიანებისთვის დამახასიათებელია მარწყვბალახი (*Potentilla brachypetala Fisch. & C.A.Mey. ex Lehm*), ქოთანა (*Silene physocalyx Ledeb.*), პაედოროტელა (*Paederotella pontica Rupr/ex Boiss*), პონტოს მუზარადა (*Scutellaria pontica C.Koch*), ფხიჯები (*Saxifraga repanda Willd ex Sternb*), და დიყი (*Heracleum albovii Manden*).

თ) კინტრიმის დაცული ტერიტორიები მოიცავს ჰაბიტატებს, რომლებიც ითვლება ზურმუხტის ქსელის



ნაწილად. ეს არის მაღალ პრიორიტეტული ტერიტორიების ქსელი, რომელიც ითვალისწინებს პან-ევროპული ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ბუნებრივი ჰაბიტატის შენარჩუნებას, რომელიც 1998 წელს დაიწყო ევროპის საბჭოს მიერ როგორც მათი სამუშაოს ნაწილი ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ კონვენციის (ბერნის კონვენცია). კინტრიშის დაცული ტერიტორიები თავისი სრული ფართობით (13,437ჰა) ოფიციალურად წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის საიტს (ნოემბერი, 2018), რეგისტრაციის ნომრით GE0000014 –Kintrishi (დანართი 7: ზურმუხტის ქსელის ადგილები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე).

3. წიფლის ტყის მასივები, ოლიგოტროფული ტენიანი საძოვრები, ბალკანო-პონტოს ნამკნარები, კავკასიური ნამკნარების ტყეები, ტენიანი საძოვარი სავარგულები კინტრიშის დაცულ ტერიტორიების ზურმუხტის ქსელის შემადგენელი ჰაბიტატებია.

მუხლი 13. ბიომრავალფეროვნება

1. ფლორა და მცენარეულობა

ა) კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორა მდიდარია სხავადასხვა სახეობებით. აჭარის ფლორის თითქმის ნახევარი (48.72%) გვხვდება აქ. 895 ჭურჭელბოჭკოვანი მცენარე არის აღწერილი კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე (დანართი 8. სახეობების ჩამონათვალი). კინტრიში წარმოადგენს მესამეული პერიოდის თერმოფილური წარმომადგენლების ერთ-ერთ თავშესაფარს, რომლებიც შემორჩნენ გამყინვარების ეპოქიდან. ამ რაიონში თავმოყრილია რელიქტური და ენდემური სახეობები.

ბ) კინტრიშის ტერიტორიაზე არსებული ფლორის სახეობები გაერთიანებულია 116 ოჯახში. სასიცოცხლო ფორმების მიხედვით აქ არის 36 სახის ხე (აჭარის ველური ბუნების ველურად ზრდადი ხეების 63%), 55 სახის ბუჩქი (78%), 19 სახეობა, რომელიც იზრდება ხის ან ბუჩქის სახით (50%), 5 სახის ხვიარა მცენარე (46%) და 591 სახის ბალახოვანი მცენარე (35.6%). არაადგილობრივი ფლორა წარმოდგენილია 43 სახეობით (აჭარის ფლორის არაადგილობრივი სახეობების 18%).

გ) საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ კანონის (2006) შესაბამისად 13 სახეობა დაცულია (აჭარის ფლორის სახეობების 61.9% დაცულია წითელი წიგნით); მცენარეების 193 სახეობა რეკომენდებულია კავკასიის წითელ ნუსხაში შესატანად (მცენარეთა საერთო რაოდენობიდან 69.4% რეკომენდებულია წითელ წიგნში შესატანად). 7 სახეობა დგას გადაშენების საფრთხის წინაშე IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით.

დ) კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებულია: დეკორატიული მცენარეების 153 სახეობა, სამკურნალო მცენარეების 144 სახეობა, საკვები 91 სახეობის მცენარე. აჭარის რეგიონის ველური მცენარეულობის 78.1% გამოიყენება ტრადიციულ დეკორატიულ მეზღობაში და ლანდშაფტურ დიზაინში, ხოლო აჭარის რეგიონის ველური მცენარეულობის 100% გამოიყენება ტრადიციულ კულინარიაში.

2. მცენარეთა ენდემური და რელიქტური სახეობები და საქართველოს „წითელ წიგნში“ ან/და ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების წითელი წიგნში შეტანილი მცენარეთა სახეობები:

ა) კინტრიშის დაცული ტერიტორიები უაღრესად მდიდარია ენდემური სახეობებით. 895 ჭურჭელბოჭკოვანი სახეობის გარდა, 144 სახეობა არის ენდემური, რომელიც შეადგენს აჭარის ენდემური ფლორის 66.5%-ს. 64 სახეობა არის ენდემური კავკასიისთვის, 17 – საქართველოსთვის, 54 არის კოლხური ენდემი და 9 მიეკუთვნება აჭარა-ლაზეთის ენდემურ ჯგუფს. ენდემური სახეობების ჩამონათვალი მოყვანილია დანართში 8.

ბ) კინტრიშის დაცული ტერიტორიები ცნობილია რელიქტური მცენარეული სახეობების მრავალფეროვნებით. მესამეული თერმოფილური სახეობები ტიპურია ამ რეგიონისთვის. ზოგიერთი რელიქტური სახეობების სია წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 2. რელიქტური სახეობები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებში



№	სახეობები
1	უნგერნის შქერი (<i>Rhododendron ungerii</i> Trautv.)
2	აღმოსავლური წიფელი (<i>Fagus orientalis</i> Lipsky)
3	ჩვეულებრივი წაბლი (<i>Castanea sativa</i> Mill)
4	ჩვეულებრივი კაკალი (<i>Juglans regia</i> L.)
5	იმერული მუხა (<i>Quercus imeretina</i> Stev. Ex Malleev)
6	თელა – შიშველი თელადუმა (<i>Ulmus glabra</i> Huds.)
7	კოლხური ჯონჯოლი (<i>Staphylea colchica</i> Stev.)
8	კოლხური ლეღვი (<i>Ficus carica</i> L.)
9	კოლხური ბზა (<i>Buxus colchica</i> Pojark.)

3. 36-მდე სახეობა ითვლება გადაშენების საფრთხის ქვეშ გლობალურად ან ეროვნული მასშტაბით, ან შეტანილია როგორც გადაშენების საფრთხის ქვეშ ან გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის საქართველოს ენდემური მცენარეების წითელი წიგნის მიხედვით. კონტრიშის დაცული ტერიტორიების გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები მოყვანილია ცხრილში 3, ქვემოთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონტრიშის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე ხვდება უთხოვარის (*Taxus baccata* L.) ცალკე მდგომი კორომები.

ცხრილი 3. კონტრიშის დაცული ტერიტორიების გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ მცენარეთა სახეობები

№	სახეობები	კონტრიში	გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი მცენარეების IUCN-ის წითელი ნუსხა	კავკასიური ენდემური სახეობების წითელი ნუსხა (2013)	საქართველოს წითელი ნუსხა (2014)
1	<i>Arafoe aromatica</i> M.Pimen. & Lavrova (არაფოე)	1		VU B1ab(ii)+2ab(ii)	
2	<i>Astragalus doluchanovii</i> Manden.* (გლერძი)	1		VU D2	
3	<i>Betula medwediewii</i> Regel* (მედევედევის არყი)	1	DD (2014)	VU B1ab(iii,v)	VU
4	<i>Buxus colchica</i> Pojark. (კოლხური ბზა)	1	LR/NT (1998)		VU
5	<i>Castanea sativa</i> Mill. (ჩვეულებრივი წაბლი)	1	LC (2017)		VU
6	<i>Cerastium oreades</i> Schischk. (პირთეთრა)	1		NT	
7	<i>Chaerophyllum astrantiae</i> Boiss.& Bal. (ლიმი)	1	NT (2008)	NT	



8	<i>Dactylorhiza euxina</i> (Nevski) Czerep. (ორქიდეა)	1	NT (2008)		
9	<i>Daphne albowiana</i> Woronow ex Pobed. (აღბოვის მაჯალღვერი)	1		EN B2ab(iii)	EN
10	<i>Epimedium colchicum</i> (Boiss.) Trautv.* (კოლხური ჩიტინწვივა)	1		NT	
11	<i>Galanthus krasnovii</i> A. Khokhr.* (თეთრყვავილა)	1		EN B2ab(iii,v)	
12	<i>Grossheimia polyphylla</i> (Ledeb.) Holub.* (მრავალფოთოლა ხახვისთავა)	1		NT	
13	<i>Juglans regia</i> L. (კაკლის ხე)	1	LC (2017)		VU
14	<i>Laserpitium affine</i> Ledeb.* (მხგავსი ლაზერპიციუმი)	1		EN B1ab(iii)+2ab(iii)	
15	<i>Laurus nobilis</i> L. (კეთილშობილი დაფნა)	1	LC (2017)		VU
16	<i>Myosotis lazica</i> M.Pop.* (ლაზური კესანე)	1	NT (2008)	NT	
17	<i>Onobrychis meschetica</i> Grossh. (მესხეთის ესპარცეტი)	1	NT (2008)	NT	
18	<i>Oxytropis lazica</i> Boiss.	1		NT	
19	<i>Onobrychis kemulariae</i> Chinth. (კემულარიას ესპარცეტი)	1		VU D2	
20	<i>Paederotella pontica</i> (Rupr.exBoss.) Kem-Nath.* გიტარისფოთოლა თავყვითელა	1		VU B2ac(ii)	
21	<i>Paeonia macrophylla</i> (Albov) Lomak.* /დიდფოთოლა იორდასალამი	1		VU B1ab(iii,v)	
22	<i>Psephellus adjaricus</i> (Albov) Grossh.* /აჭარული ფსევდელუსი/	1	CR B2ab(iii,v) (2008)	CR B2ab(iii,v)	
23	<i>Quercus hartwissiana</i> Steven (ჰართვისის მუხა)		DD (2017)		VU
24	<i>Quercus imeretina</i> Steven ex Woronow* (იმერული მუხა)	1		VU B2ab(iii)	VU
25	<i>Quercus pontica</i> K.Koch*(პონტოს მუხა)	1		VU B2ab(iii)	VU
26	<i>Ranunculus vermirrhizus</i> Khokhr. (ზაია)	1		CR B1ab(i,ii,iii)+2ab(i,ii,iii)	
27	<i>Rhododendron ungerii</i> Trautv.* (უნგერნის შქერი)	1		VU B1ab(iii)	VU
28	<i>Senecio pandurifolius</i> C.Koch	1		NT	
29	<i>Salix kikodseae</i> Goerz* (ქიქოდის ტირიფი)	1		VU	VU
30	<i>Scabiosa adzharica</i> Schchian.*	1	EN B1ab(iii)+2ab(iii) (2008)	EN B1ab(iii)+2ab(iii)	



	(აჭარული ფოლიო)				
31	<i>Staphylea colchica</i> Steven* (კოლხური ჯონჯოლი)	1		VU A2c; B1ab(iii)+2ab(iii)	VU
32	<i>Swida koenigii</i> (C.K. Schneid.) Pojark. ex Grossh.*	1		VU B2ab(iii)	
33	<i>Tripleurospermum szowitzii</i> (DC.) Pobed.	1		VU D2	
34	<i>Ulmus glabra</i> Huds. (შიშველი თელადუმა)	1	DD (2017)		EN
35	<i>Verbascum adzhagicum</i> Gritzenko (აჭარული ქერიფელა)	1		VU D2	
36	<i>Viola orthoceras</i> Ledeb.* (სწორქიანი ია)	1		VU B1ab(iii)+2ab(iii)	

4. ფაუნა, მათ შორის ეროვნულ ან გლობალურ დონეზე გადაშენების საფრთხის ქვეშ ან გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი სახეობები:

ა) ფაუნის შესახებ მონაცემები საჭიროებს განახლებას და შემდგომ კვლევებს. არსებული მონაცემებით, ძუძუმწოვრების 38 სახეობა ცნობილია ან შესაძლებელია ვივარაუდოთ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. (დანართი 9. ძუძუმწოვართა ჩამონათვალი). აღნიშნული 38 სახეობიდან 5- საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. 3 მათგანი მოწყვლადია: სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*) და წავი (*Lutra lutra*). ორი სახეობა იმყოფება გადაშენების საფრთხის წინაშე: მურა დათვი (*Ursus arctos*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*); ერთი სახეობა – ფოცხვერი (*Lynx lynx*) კრიტიკულად გადაშენების საფრთხის ქვეშაა. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული სახეობები რომლებიც ითვლება გადაშენების საფრთხის წინაშე როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე, მოყვანილია ცხრილი 4-ში.

ცხრილი 4. კინტრიშის დაცული ტერიტორიების გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ძუძუმწოვრები

ჩვეულებივი დასახელება	ლათინური დასახელება	კავკასიური ენდემური	საქართველოს წითელი ნუსხა	IUCN-ის წითელი ნუსხა
ფოცხვერი	<i>Lynx lynx</i>		CR	LC
პრომეთეს მემინდვრია	<i>Prometheomys schaposchnikovi</i>	ü	VU	NT
არჩვი	<i>Rupicapra rupicapra</i>		EN	LC
კავკასიური ციყვი	<i>Sciurus anomalus</i>	ü	VU	LC
მურა დათვი	<i>Ursus arctos</i>		EN	LC

5. ფრინველთა 147 სახეობა ცნობილია ან შესაძლებელია ვივარაუდოთ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად 147 სახეობიდან 43 წარმოადგენს მთელი წლის განმავლობაში მუდმივ მაცხოვრებელს და ისინი ბუდობენ კვლევის რაიონის ფარგლებში. კავკასიური როჭო (*Lyrurus mlkosiewiczzi*), და ჭოტი (*Aegolius funereus*) მიეკუთვნებიან წლის განმავლობაში მცხოვრებ ბინადართ და არიან საქართველოს წითელ ნუსხის ჩამონათვალში, როგორც



მოწყვლადი სახეობები. სხვადასხვა კვლევების თანახმად 35 სახეობა ბუდობს კინტრიშის დაცული ტერიტორიის ფარგლებში და არ იმყოფება აქ სხვა სეზონზე. 59 სახეობა არის მიგრანტი სახეობა და ზამთრობით სტუმრობს ტერიტორიას. მაგალითად მცირე კირკიტა (*Falco naumanni*) და თვალშავი (*Falco vespertinus*) არიან გადაშენების საფრთხის ქვეშ საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით, ხოლო კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*) მოწყვლადი სახეობაა. ისინი არ არიან კინტრიშის დაცული ტერიტორიების მუდმივი ბინადრნი და მხოლოდ სტუმრობენ მას. 10 სახეობა არის მოხეტიალე და მხოლოდ რამდენჯერმე მოხდა მათი დაფიქსირება ამ ტერიტორიაზე (დანართი 10. ფრინველების ჩამონათვალი). სულ საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია ფრინველების 16 სახეობა. ამავე დროს 8 მათგანი არის შეტანილი IUCN-ის წითელ ნუსხაში: ორი სახეობა საფრთხის ქვეშაა, ორია მოწყვლადი და ორი – გადაშენების საფრთხესთან ახლოს მდგომი (ცხრილი 5).

ცხრილი 5. გლობალურად გადაშენების საფრთხის ქვეშ და გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი სახეობები კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე

№	Species	IUCN Red List
1 ფასკუნჯი	<i>Neophron percnopterus</i>	EN
2 გავაზი	<i>Falco cherrug</i>	EN
3 დადი მყივანი არწივი	<i>Clanga clanga</i> (formerly <i>Aquila clanga</i>)	VU
4 ბუქობის არწივი	<i>Aquila heliaca</i>	VU
5 სვავი	<i>Aegypius monachus</i>	NT
6 თვალშავი	<i>Falco vespertinus</i>	NT
7 კრავიჭამია	<i>Gypaetus barbatus</i>	NT
8 კავკასიური როჭო	<i>Lyrurus mlokosiewiczii</i> (<i>Tetrao mlokosiewiczii</i>)	NT

6. რეპტილიები: რეპტილიების 9 სახეობა ცნობილია ან შესაძლებელია ვივარაუდოთ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის მიჩნეულია, რომ კავკასიური გველგესლას (*Vipera kaznakovi*) ემუქრება გაქრობა, როგორც საქართველოში ისე მთელ მსოფლიოში. დიდთავიანი წყლის გველი (*Natrix megaloccephala*) IUCN-ის წითელ ნუსხაში აღნიშნულია, როგორც მოწყვლადი სახეობა (დანართი 11 რეპტილიების და ამფიბიების ნუსხა).

7. ამფიბიები: ამფიბიების 8 სახეობაა ცნობილია ან შესაძლებელია ვივარაუდოთ კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, მათი ჰაბიტატის მიმართ მოთხოვნების შესაბამისად. ხუთი მათგანი ითვლება კავკასიის ენდემურ სახეობად. მათ შორის ერთი სახეობა, კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) არის მოწყვლადი, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო მასშტაბით. ორი მათგანი, ჩრდილოეთის მცირეაზიური ტრიტონი (*Triturus bittatus* (*Ommatotriton ophryticus*)) და კავკასიური ჯვარულა (*Pelodytes causicus*) შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში როგორც გადაშენების საფრთხესთან ახლოს მდგომი სახეობა (დანართი 11 რეპტილიების და ამფიბიების ნუსხა).

8. ლიტერატურული მონაცემების თანახმად თევზების 15 სახეობა იქნა აღწერილი მდინარე კინტრიშში. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში მხოლოდ 3 სახეობა გვხვდება: ტრანსკავკასიური ფრიტა (*Alburnoides fasciatus*), შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax*) და მდინარის კალმახი (*Salmo trutta fario*). თევზის სახეობების ჩამონათვალი საჭიროებს განახლებას და გადამოწმებას.

9. უხერხემლოები: კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე უხერხემლოთა მრავალფეროვანი სახეობა ბინადრობს. ობობასმაგვართა დაახლოებით 45 სახეობა, 15 სახეობის ჭრიჭინა, 10 სახეობის კალია არის



შემჩნეული კდტ-ში. კდტ მდიდარია პეპლების სახეობებით, მხოლოდ ერთი, ნიმფალიდების (*Nymphalidae*) ოჯახი წარმოდგენილია 30 სახეობით. ფუტკრის 15-ზე მეტი სახეობა ბინადრობს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე რომლებიც მოიცავს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებს, როგორცაა იისფერი კელა დურგალი (*Xylocopa violacea*). აქ ბინადრობს ასევე კინტრიშის ენდემური ჭიაყელა (*Allobophora kintrishiana*), 44 ადგილობრივი და რეგიონისთვის დამახასიათებელი მოლუსკი, ასევე კიბოსნაირები, მათ შორის კოლხური ფართოფეხა კიბო (*Astacus colchicus*).

10. ხერხემლიანთა რელიქტური და ენდემური სახეობები: კინტრიშის დაცული ტერიტორია მდიდარია ენდემური სახეობებით. ძუძუმწოვრების 12 სახეობა, ფრინველების 3 სახეობა, რეპტილიების 5 და ამფიბიების 5 სახეობა – ამას დამატებული უცნობი, მაგრამ სავარაუდოდ ენდემურ და რელიქტურ უხერხემლოთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ითვლებიან ენდემურად კავკასიისთვის ან საქართველოსთვის (მაგ., კინტრიშის ენდემური ჭიაყელა (*Allobophora kintrishiana*)) (დანართი 12-ში წარმოდგენილია ენდემურ სახეობათა ნუსხა).

11. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი ფასეულობები

ა) კოლხური შერეული ტყე თავისი ფლორით და ფაუნით: პოლიდომინანტური და წიფელი-წაბლის ტყეები მარადმწვანე ქვეტყესთან ერთად. ისინი შედგება რელიქტური, ენდემური და გლობალური და საქართველოს მასშტაბით გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებისგან. გავრცელებულ სახეობებს მიეკუთვნება აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), წაბლი (*Castanea sativa* Mill) და სხვა მრავალი. ქვეტყეს ქმნის კოლხური ბუჩქი (*Buxus colchica* Pojark.), შქერი (*Rhododendron ponticum* L.), ბადგი (*Ilex colchica* Pojark.), და სხვ. მათი გავრცელების არეალი ასევე წარმოადგენს თავშესაფარს არა მარტო ისეთი ენდემური და რელიქტური სახეობებისთვის, როგორებიც არის ჩვეულებრივი კაკალი (*Juglans regia* L), პონტოს მუხა (*Quercus pontica* C.Koch), ჩვეულებრივი უთხოვარი (*Taxus baccata* L.), არამედ სხვა სახეობებისთვისაც.

ბ) ფოთლოვანი ტყეები, ერთეული წიწვოვანი სახეობებით (შერეული წიწვოვანი-ფოთლოვანი ტყეები) თავისი ფლორით და ფაუნით. ეს ტყეები გავრცელებულია 1,800 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და მისი ძირითადი წარმომადგენლებია აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Peterm), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana* (Stev.) Spach).

გ) სუბალპური ტანბრეცილი ტყე და მდელოები: არეალი, სადაც საქართველოს ენდემური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ხის სახეობები გვხვდება, მათ შორის არყის ხის კორომები, მედვედევის არყის ხის (*Betula medwedewii* Regel) დომინირებით და დეკიანები.

დ) კინტრიშის მდინარეები/დედნები/ტბები: ისინი წარმოადგენენ საარსებო გარემოს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ თევზების სახეობებისთვის, ისეთი როგორცაა მდინარის კალმახი (*Salmo trutta fario*) და წარსულში შავი ზღვის ორაგული (*Salmo labrax*). შავი ზღვის ორაგული, წარუსულში საქვრითოდ ამოდიოდა კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში, თუმცა ბოლო პერიოდში ეს სახეობა აღარ დაფიქსირებულა კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ტბები თავშესაფარს წარმოადგენს მცირეაზიური ტრიტონისთვის (*Ommatotriton ophryticus*) და მდიდარია უხერხემლოთა სახეობებით.

ე) ენდემური და გლობალურად და ეროვნულ დონეზე გადაშენების საფრთხის ქვეშ ან გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი მცენარეული სახეობები (მაგ. კოლხური ბუჩქი (*Buxus colchica* Pojark), რომლის რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა; აღნიშნული სახეობა საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით მოწყვლადია და ითვლება გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფ სახეობად IUCN-ის წითელი ნუსხის მიხედვით).

12. მტაცებლები: აღნიშნული მოიცავს მურა დათვს (*Ursus arctos*) - გადაშენების საფრთხის წინაშე სტატუსით, ფოცხვერს (*Lynx lynx*) - გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე, და წავს (*Lutra lutra*) - მოწყვლადი, რომლებიც ეროვნული მასშტაბით იმყოფებიან გადაშენების საფრთხის ქვეშ. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის საფარი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და მტკიცე საარსებო გარემოს წარმოადგენს ფოცხვერისთვის.

13. არჩვი (*Rupicapra rupicapra*) გვხვდება კინტრიშის სუბალპურ ზოლში; ემუქრება გაქრობის საფრთხე.



არჩვი განეკუთვნება შედარებით მცირე და განსაკუთრებულად გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფ მცირე კავკასიონის პოპულაციას, რომელიც წინაპირობას წარმოადგენს მისი მთავარი ღირებულების კატეგორიაში შეტანას.

14. ენდემური და გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველები: ამ ჯგუფში შედის ისეთი სახეობები, როგორც არის ეროვნული თვალთახედვით მოწყვლადი და გლობალურად გადაშენების საფრთხესთან ახლოს მყოფი კავკასიური როჭო (*Lyrurus mlokosiewiczii*), ისევე როგორც ტყის ტიპიური ფრინველები. კავკასიური როჭო წარმოადგენს ძირითად ფასეულობას, იქიდან გამომდინარე, რომ მისი მცირე კავკასიის პოპულაცია იზოლირებულია და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დიდი კავკასიონის პოპულაციას.

15. ენდემური ჰერპეტოფაუნა: წარმომადგენლებია კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), კავკასიური ჯვარულა (*Pelodytes causicus*) და სხვ. კონტრიშის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვან ჰაბიტატს წარმოადგენს აღნიშნული სახეობების შენარჩუნებისთვის. კავკასიური სალამანდრას პოპულაციები კონტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე გენეტიკურად იმდენად განსხვავდებიან აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული პოპულაციებისგან, რომ შესაძლებელია კრიპტულ სახეობადაც იქნას მიჩნეული.

16. უხერხემლოები: კონტრიშის დაცული ტერიტორიები მდიდარია ენდემური და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით. ასე მაგალითად: კონტრიშის ენდემური ჭიაყელა (*Allobophora kintrishiana*), 44 ადგილობრივი და რეგიონისთვის დამახასიათებელი მოლუსკი, ასევე კიბოსნაირები, მათ შორის კოლხური ფართოფეხა კიბო (*Astacus colchicus*).

მუხლი 14. მეცნიერება და განათლება

1. წარსულში კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებულია მთელი რიგი სამეცნიერო კვლევებისა. ამავდროულად, აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებს გააჩნია საკმაოდ მაღალი პოტენციური სამომავლოდ სამეცნიერო კვლევებისა და მონიტორინგისთვის. პრიორიტეტულია კოლხური ფლორის, ბიომრავალფეროვნების, მათ შორის, გლობალური გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი, რელიქტური და ენდემური სახეობების კვლევა. კონტრიშის დაცული ტერიტორიები ასევე საყურადღებოა კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის გამო (უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-16 მუხლში).

2. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის ძირითად ჯგუფები უფრო მრავალმხრივად უნდა იქნეს შესწავლილი. უნდა ჩატარდეს ტყის ინვენტარიზაცია.

3. კონტრიში არის საინტერესო კულტურული და ისტორიული ძეგლების გამო (დანართი 13).

4. გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიმართულებით, ადმინისტრაცია მუშაობს 39 საჯარო სკოლასთან, ერთ საჯარო კოლეჯთან – "ახალი ტალღა" და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით, 39 სასწავლო დაწესებულებაში ჩატარდა სემინარები, მათ შორის სკოლებში, კოლეჯში და უნივერსიტეტში და მონაწილეობა მიიღო 1,498 სკოლის მოსწავლემ, 163 პედაგოგმა, 22 მოსწავლემ და 375 ადგილობრივმა მაცხოვრებელმა.

5. კონტრიშის ადმინისტრაცია დაცულ ტერიტორიებზე მასპინძლობს ექსკურსიებს, ორგანიზებას უწევს დასუფთავების ღონისძიებებსა და ეკობანაკებს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ასევე ორგანიზებულ იქნა სკოლის მოსწავლეთა ცოდნის თამაშები. 2016 წელს ქობულეთის ორი სკოლიდან კონტრიშის დაცულ ტერიტორიებს ეწვია 46 სკოლის მოსწავლე. 2016-2017 წლებში რვა სკოლისთვის იქნა ორგანიზებული თამაშები "რა, სად, როდის". მთელ რიგი ღონისძიებები ტარდება მწვანე კალენდრის მიხედვით, მაგალითად, 2016 წელს ოჩხამურის საჯარო სკოლის 35 სკოლის მოსწავლემ და 5 პედაგოგი ჩართული იყო ხეების დარგვის ღონისძიებაში, რომელიც „ტყის საერთაშორისო დღეს“ მიეძღვნა. 2018 წელს, ამავე დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 24 სკოლის მოსწავლემ და 3 პედაგოგმა. ეროვნული პარკებისა და ნაკრძალებისადმი მიძღვნილ დღეს, დასუფთავების პროცესში 30 სკოლის მოსწავლე და 4 მასწავლებელი ჩაერთო.

6. 35 სკოლის დირექტორი წიგნის „ყველაფერი დაცული ტერიტორიების შესახებ“ პრეზენტაციას



დაესწრო. ეს წიგნი სოფელ ჭახათში სკოლის 30 მოსწავლესა და 3 პედაგოგს გადაეცა საჩუქრად.

მუხლი 15. მიწის საკუთრება და მიწათსარგებლობა

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მეშვეობით ახორციელებს მის მართვას.
2. კონტრიშის ხეობაში არ არის განხორციელებული მიწის რეგისტრაცია. მიწის საკუთრების შესახებ ინფორმაცია ინახება საყოფაცხოვრებო რეესტრის წიგნებში. მხოლოდ მიწის 3 ნაკვეთია რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (სრეს).
3. კონტრიშის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში დასაშვებია იყო ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. დაცული ლანდშაფტის ზოგიერთ მიწას იყენებდნენ ადგილობრივი თემები კულტივირებისთვის, საქონლის საძოვრად და გადაადგილებისთვის.

მუხლი 16. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა

1. კონტრიშის ხეობა არის ისტორიული აჭარის რეგიონის ნაწილი. კონტრიშის ხეობა შესწავლილია სხვადასხვა მეცნიერების მიერ 1873 წლიდან. 1944 წელს სოფელ ხუცუბანში გათხრებმა აღმოაჩინა ბრინჯაოს იარაღები და ინსტრუმენტები. სოფელ კოხში მოგვიანებით იპოვეს თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს მუზარადი. ორივე არტეფაქტი ძვ.წ. IX-II საუკუნეს ეკუთვნის.
2. კონტრიშში დაფიქსირებულია 30-მდე კულტურული ძეგლი და ნასახლარი (დანართი 13. კულტურული ძეგლების და ნასახლარების სია). ხეობა ცნობილია თავისი თაღოვანი ხიდებით, რომლებიც მე -12 საუკუნეში აშენდა. ხეობებში ტიპურია ასევე ეკლესიებისა და სალოცავების ნარჩენები.

მუხლი 17. ეკოტურიზმი

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის შენობა მთელი წლის განმავლობაში ღიაა ვიზიტორთათვის, აქ შესაძლებელია ეკოტურისტული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანგარიშსწორება და ტურისტული დჭურვილობის დაქირავება. სტუმრებს რეგისტრაციის დროს კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში (ქ. ქობულეთი) ან უშუალოდ დაცული ტერიტორიების შესასვლელში „რეინჯერთა სადგურში“ (ინტეგრირებული ტურისტულ თავშესაფართან, ცხემვანში) მიეწოდება საჭირო ინფორმაცია ვიზიტორთა ქცევის წესების და ვალდებულებების შესახებ, ასევე გადაუდებელი დახმარების სერვისთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაცია. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ტურისტული ბილიკები იწყება ვიზიტორთა ცენტრიდან მოშორებით.
2. კონტრიშის დაცული ტერიტორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა:
 - ა) ვიზიტორთა ცენტრი ქ. ქობულეთში – ინტეგრირებულია ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრთან
 - ბ) საკონფერენციო ოთახი და საგამოფენო დარბაზი ადმინისტრაციულ შენობაში
 - გ) ვიზიტორთა თავშესაფარი, ცხემვანში, 2 ოთახით, სადაც 6 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი, კვების ორგანიზების გარეშე. (ინფრასტრუქტურა საჭიროებს გაუმჯობესებას). ვიზიტორთა თავშესაფარი ინტეგრირებულია რეინჯერთა სადგურთან.
 - დ) სამი საპიკნიკე ადგილი ცხემვანში,
 - ე) საკარვე ადგილები (ცხემვანში)
3. სამი მარკირებული ბილიკი, სადაც შესაძლებელია 1 დღიდან 2 დღემდე ტურების განხორციელება:



ა) თამარის თაღოვანი ხიდი - 1,200 მ, 1.5 სთ, საფეხმავლო, მარტივი. მთავარი ღირსშესანიშნაობებია: თამარის თაღოვანი ხიდი, ცხემვანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, უძველესი ღვინის ქვევრები, ჩანჩქერი

ბ) უთხოვარი და ტბა ტბიყელი - 37 კმ, 2 დღე, საფეხმავლო და საცხენოსნო, საშუალო სირთულის. მთავარი ღირსშესანიშნაობებია: დიდხნოვანი უთხოვარი, ხინოწმინდის ეკლესიის ნანგრევები (VIII-IXსს), ტბა ტბიყელი

გ) ხინოს ჩანჩქერის ბილივი - 2,5 კმ, 45 წთ. მთავარი ღირსშესანიშნაობებია: კოლხური სუბტროპიკული ტყე, ხინოს ჩანჩქერი

4. აღჭურვილობა გასაქირავებლად: კარავები, საძილე ტომრები და ზურგჩანთები.

5. კონტრშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მირ შეთავაზებული ორგანიზებული მომსახურებები:

ა) ტურისტული ინფორმაციის მიწოდება საინფორმაციო და საინტერპრეტაციო მასალებით;

ბ) სალაშქრო, საცხენოსნო ტურების ორგანიზება კონტრშის დაცულ ტერიტორიაზე (ერთდღიანი და ორდღიანი ტურები);

გ) კულტურული ტურები;

დ) გამყოლის მომსახურება;

ე) ტურისტული თავშესაფრის, საკარვე და საპიკნიკე ადგილების და სხვა მომსახურების დაჯავშნა

6. სპეციალური აღჭურვილობის გაქირავება (კარავი, საძილე ტომარა, ზურგჩანთა);

7. ფასების სისტემა

ა) კონტრშის დაცულ ტერიტორიებზე შესვლა უფასოა. ვიზიტორები იხიდან თანხას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მიწოდებულ მომსახურებაში, როგორცაა, ღამისთევა ტურისტულ თავშესაფარში და კარავში, საპიკნიკე ადგილის გამოყენება, საკარვე აღჭურვილობის გაქირავება. გიდის/გამყოლის მომსახურება არ არის ადმინისტრაციის სერვისი, თუმცა ინფორმაციას და რეკომენდაციას ტურისტი ვიზიტორთა სპეციალისტისგან იღებს.

ბ) არ არის გადასახადი დაჯავშნაზე, ფასები ფიქსირებულია (თუმცა, წლის, სეზონის განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს).

8. ტურისტული საქმიანობა/ბიზნესი, დაცულ ტერიტორიასთან ადგილობრივი სერვისის მომწოდებლების თანამშრომლობა:

ა) კონტრშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თანამშრომლობს როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტთან ისე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო დაწესებულებებთან, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან, ბათუმის და ქობულეთის ტურისტული საინფორმაციო ცენტრების წარმომადგენლებთან.

ბ) კონტრშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ბათუმის და ქობულეთის სასტუმროებთან და საოჯახო ტიპის სასტუმროებთან.

9. ტურისტული მოთხოვნის ანალიზი (ტურისტული ვიზიტები და ვიზიტორების პროფილი, ვიზიტორთა ანალიზი):


ა) კონტრშის დაცული ტერიტორიები მთელი წლის მანძილზე ღიაა ვიზიტორთათვის, აქტიური სეზონი იწყება აპრილიდან და გრძელდება ნოემბრამდე.



ბ) კონტრიშის დაცული ტერიტორიების ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019
ქართველი	3024	3277	4125	3733	4232	4905
უცხოელი	672	481	1013	1651	2322	2100
სულ	3696	3758	5138	5384	6554	7005

გ) 2019 წლის ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით, კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების 70% ქართველი, ხოლო 30 % უცხოელია. უცხოური ბაზრის ძირითად სეგმენტს, ვინც დაცული ტერიტორიების პროდუქტით სარგებლობს რუსეთის, უკრაინის, გერმანიის, ისრაელის და სომხეთის მოქალაქეები წარმოადგენენ.



დ) კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწარმოებს ვიზიტორთა გამოკითხვას, გამოკითხვის საფუძველზე ჩანს, რომ ვიზიტორების 43% – 25 წელზე ახალგაზრდაა, 44% – 25-დან 50 წლამდე, ხოლო 13% – 50 წელზე ზემოთ ასაკისაა;

ე) ვიზიტორთათვის დაცული ტერიტორიების მონახულების მთავარ მოტივს ველურ ბუნებაში ლაშქრობა და კულტურული ძეგლების მონახულება წარმოადგენს;

ვ) ვიზიტორთა 73%-ის შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენს.

10. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორების მხოლოდ 1 % სარგებლობს ტურისტული პროდუქტით, დანარჩენი 99% ადგილზე რეკრეაციით შემოიფარგლება. ყველაზე მოთხოვნადი შეთავაზება ღამისთევის საშუალება და საპიკნიკე ადგილებია.

11. ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები წლების და მომსახურების სახეების მიხედვით:

შემოსავლის სახე	2014	2015	2016	2017	2018	2019



სავიკნივე ადგილი	360	180	530	270	505	285
საკარვე ადგილი	90	40	20	10		80
თავშესაფარი	770	495	795	535	525	690
კარავი	5	75	60		20	
პარალონი			18	6	6	
სადილე ტომარა	25	45	30		25	
ზურგჩანთა	15	8	5			
რუკა	6				4	
ცხენი		35	105		630	150
სულ	1271	878	1563	821	1715	1205

მუხლი 18. ადგილობრივი ეკონომიკა

1. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება ნებადართული იყო და რეგულირდებოდა კონტრიმის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში. ბუნებრივი რესურსი არ გამოიყენებოდა კომერციული მიზნით. კონტრიმის დაცული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებები იქ არსებულ რესურსებს მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის იყენებდნენ. ძირითადად მოსახლეობა იყენებს სამოვრებს და არის მოთხოვნა საშემე და სამასალე მერქანზე. თითოეულ ოჯახზე გასაცემი ხის მასალის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 6 მ³. მეფუტკრეობა ტრადიციულია ადგილობრივი თემებისთვის. არამერქნული პროდუქტები ასევე გამოიყენება მდგრადი გზით.

2. მკაცრი დაცვის რეჟიმის ნაკრძალის შექმნამდე (1959 წ.), კონტრიმის ხეობა უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული. ზოგიერთი დასახლება შემოიფარგლა კონტრიმის დაცული ლანდშაფტის საზღვრებში. ხინო, ზემო ხინო, დიდავაკი, ზერაბოსელი, მესხიქედი, წერაქვეთი, გოგოური, ბულრათა და გორა – ის ადგილებია, რომლებიც მდებარეობს დაცული ლანდშაფტში. ცხემვანი ნაწილობრივ მდებარეობს კონტრიმის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში. ცხემვანში სამი ოჯახი მუდმივად ცხოვრობს. სეზონურად, მაცხოვრებელთა რიცხვი 12 კაცამდე იზრდება. ზამთრის პერიოდში ხინოში სამი ადამიანი რჩება. ისინი ცხოვრობენ იქაურ მონასტერში. ხინოში 15 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთია. სეზონურად, ხალხი ბრუნდება სოფლებში მიწის ნაკვეთების დასამუშავებლად. სოფელ დიდვაკეში მხოლოდ ერთი მუდმივი მაცხოვრებელია, 14 რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთია. მიწის კულტივაცია, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა ჩვეული საქმიანობაა.

3. კონტრიმის დაცული ტერიტორიების შიგნით მდებარე სხვა სოფლები მიტოვებულნი არიან და მუდმივი მაცხოვრებლები არ გააჩნიათ. ხალხი ძირითადად სტუმრობს ამ სოფლებს სეზონურად მეფუტკრეობისთვის ან მიწის დასამუშავებლად. ზერაბოსელში 7-8 სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთია, 3-4 – მესხიქედში, 1 – ბულრათასა და 7 – გოგოურსა და წერაქვეთში.

4. საბაზო კვლევის მიხედვით, 20 ოჯახს ბოსტნეულს მოყავს. საშუალოდ, წლიური მოსავალი შეადგენს: რვა ტონა სიმინდს, ერთი ტონა ლობიოს, ექვს ტონა კარტოფილს, ერთი ტონა სხვა ბოსტნეულს და ხუთ ტონა ხილს. მათ შორის 3 ოჯახს ჰყავს სულ 12 ძროხა, სამოვრებისთვის გამოიყენება კონტრიმის დაცული ლანდშაფტის სამოვრები. სამოვრებზე დატვირთვა დაბალია და წინასწარი შეფასებით ამ მომენტში უარყოფითი ეფექტი არ გააჩნია, თუმცა საკითხი მოითხოვს დეტალურ შესწავლას.

5. შედარებით მჭიდროდ დასახლებული სოფლები კონტრიმის დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მდებარეობს. ეს სოფლები ეკუთვნის ჭახათის თემს. მათ შორისა არის კობალაური, ვარჯანაული, კეჭიეთი და ჭახათი. 10-15 წლის წინ, ჭახათის თემის კუთვნილი ძროხები კონტრიმის სამოვრებზე



მოვდნენ. ამჟამად, ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მსხვილფეხა პირუტყვი რიცხვის შემცირების გამო მეზობელი კონტრიშის დაცული ტერიტორიების საძოვრები არ გამოიყენება. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში არ არის საძოვრები, რაც ხელს უწყობს ტრადიციული გამოყვების ზონის შიგნით დაბალ ზეწოლას საძოვრებზე. ამ სოფლების მოსახლეობას ეკუთვნის 240 ძროხა.

6. ადგილობრივი მოსახლეობა კონტრიშში არამერქნულ პროდუქტებს იყენებს. ხალხი აგროვებს თხილს, წაბლს, სოკოს და სხვა. არამერქნული პროდუქტები გამოიყენება შინამეურნეობაში, მაგრამ არა კომერციულად. ამჟამად რესურსები ინტენსიურ ექსპლოატაციას არ განიცდიან და მათი გამოყენება რაიმე უარყოფით გავლენას არ ახდენს კონტრიშის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემებზე.

7. კონტრიშის ხეობაში ფართოდ გავრცელებულია მეფუტკრეობა. სეზონურად, დაახლოებით 500-600 ფუტკრის სკა შეიძლება აღმოაჩინოთ კონტრიშის დაცული ტერიტორიების სივრცეში.

8. ეკო-ტურიზმი განიხილება როგორც ადგილობრივი ეკონომიკის კარგი პოტენციალი. ხინოში ერთადერთი საოჯახო სასტუმროს შემოსავალმა 2017 და 2018 წლებში 4,000-5,000 ლარი შეადგინა. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ხელს უწყობს ეკო-ტურიზმის განვითარებას. არსებობს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პრობლემა. არ არსებობს ნარჩენების მართვა. საცხოვრებელი ადგილები, საპირფარეოები ცუდ მდგომარეობაშია. არსებული გზები ცუდად მოვლილია.

თავი III. გრძელვადიანი მიზნები

მუხლი 19. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

1. შენარჩუნებულია კონტრიშის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი და ნახევრადბუნებრივი ლანდშაფტები და გეომორფოლოგიური წარმონაქმნები. ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციების კონსერვაცია ხდება ბუნებრივ და პრაქტიკულად ხელუხლებელ გარემოში. უზრუნველყოფილია უნიკალური და ენდემებით მდიდარი შერეული კოლხური ტყეები, შერეული ფოთლოვან-წიწვოვანი ტყეები და ალპური მცენარეული კომპლექსების კონსერვაცია.

2. ზემოთ აღნიშნული ზოგადი გრძელვადიანი მიზანი შეიძლება განისაზღვროს კონტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის იდენტიფიცირებული ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებებისთვის. პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ:

ა) კოლხური შერეული ფოთლოვანი ტყეების კონსერვაციის სტატუსი, კოლხური შერეული წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, აგრეთვე კონტრიშის დაცული ტერიტორიების სუბ-ალპური ტანბრეცილი ტყეების კონსერვაციის სტატუსი შენარჩუნებული ან გაუმჯობესებულია 2019 წელთან შედარებით, ტყით დაფარული ფართობი შენარჩუნებულია ან გაზრდილი, ტყის კორომის მახასიათებლები ასახავენ ჯანსაღ, თითქმის ბუნებრივ ან ბუნებრივ ტყეებს, მნიშვნელოვანი ტყის მცენარეული სახეობები, მათ შორის რელიქტური, ენდემური, გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი და მნიშვნელოვანი სახეობები, როგორცაა მედვედევის არყის ხე (*Betula medwedewii* Regal), პონტოს მუხა (*Quercus pontica* K.Koch), უნგერნის შქერი (*Rhododendron ungeri* Trautv), კოლხური ბაძგი (*Ilex colchica* Pojark), ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* MillLinnaeus), კოლხური ბუა (*Buxus colchica* Pojark), ჩვეულებრივი ურთხელი (*Taxus baccata* Linne), აღმოსავლური წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis* (L.) Peterm), კავკასიური სოჭი (*Abies nordmaniana* (Stev.) Spach) და სხვ. სახეობები და სხვები წარმოადგენენ მინიმუმ იგივე რაოდენობას, როგორც 2019 წელს, და მცენარეთა მავნებლების რაოდენობა დაბალ დონეზეა;

ბ) კონტრიშის დაცული ტერიტორიების ყველა სუბალპური მდელოს აქვს საშუალო ან დაბალი დეგრადაცია 2019 წელთან შედარებით, რომელიც ასახულია საძოვრების დეგრადაციის ინდექსებში;

გ) კონტრიშის დაცული ტერიტორიების მდინარეები, დედეები და ტბები ხელს უწყობენ ენდემური და გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ჯანსაღი და მრავალფეროვანი სახეობების, მათ შორის მდინარის



კალმახის (*Salmo trutta fario*) და შავი ზღვის ორაგულის (*Salmo labrax*) არსებობას.

მუხლი 20. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ფლორა და ფაუნა შეიცავს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შესულ, კავკასიისა და საქართველოს ენდემურ მრავალ სახეობას და კინტრიშის დაცული ტერიტორიები წარმატებით ასრულებს ამ სახეობების გენოფონდის ეფექტიანი და გრძელვადიანი შენარჩუნების ფუნქციას;

2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახეობების, პოპულაციების რიცხოვნობა გაზრდილია და მიახლოებულია ბუნებრივ ტევადობას 2044 წლისთვის;

ა) კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითად ძუძუმწოვართა სახეობების პოპულაციები, მათ შორის მურა დათვის (*Ursus arctos*), ფოცხვერის (*Lynx lynx*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*), ახლოს არიან ამ სახეობების ტერიტორიების ბუნებრივ ტევადობასთან;

ბ) კინტრიშის დაცული ტერიტორიების ენდემური და გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი ფრინველთა სახეობები, მათ შორის, კავკასიური როჭო (*Lyrurus mlokosiewiczi*) აგრძელებენ გამრავლებას კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მობინადრე წყვილთა რაოდენობა კვლავაც შენარჩუნებულია ან იზრდება 2019 წელთან შედარებით.

გ) ჰერპეტოფაუნას სახეობების მრავალფეროვნება და რაოდენობა კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, როგორცაა კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*) და ჩრდილოეთის ზოლიანი ტრიტონი (*Triturus vittatus (Ommatotriton ophryticus)*), შენარჩუნებულია ან იზრდება 2019 წელთან შედარებით.

დ) უხერხემლოთა ენდემური ან გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების (მათ შორის: კინტრიშის ჭიაყელა (*Allobophora kintrishiana* Kvavadze), და ა.შ.) მრავალფეროვნება და რაოდენობა კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე შენარჩუნებულია ან იზრდება 2019 წელთან შედარებით.

ე) ენდემური ან გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი, ან გაქრობის საფრთხესთან ახლოს მყოფი ფლორის სახეობების, მაგ. კოლხური ბუხის (*Buxus colchica* Pojark), წაბლის (*Castanea Sativa* Mill) გავრცელების არეალი შენარჩუნებულია ან იზრდება.

მუხლი 21. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნები

პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ კინტრიშის დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ მდიდარ ეკოსაგანმანათლებლო რესურსს. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან და სხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით, უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და ცოდნის ზრდას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულების პოზიტიურ ცვლილებას კინტრიშის დაცული ტერიტორიების მიმართ და მათ ჩართულობას მის მართვაში.

მუხლი 22. ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მიზნები

კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით, წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი; ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა და უსაფრთხო გარემო. მდგრად ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც დაცული ტერიტორიების განვითარებაში, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაში და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მდიდარი და თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებაში;

მუხლი 23. ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობასთან და თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან



დაკავშირებული მიზნები

კონტრიშის დაცული ტერიტორიები უზრუნველყოფს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვას და ადგილობრივი ტრადიციებისა და ტრადიციული საქმიანობების განვითარების ხელშეწყობას. პირველი მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებიდან 25 წლის შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილები და ძეგლები საკმაოდ კარგადაა შენარჩუნებული (აღდგენილია ხინოს ეკლესია), დაცული და ხელმისაწვდომია ვიზიტორებისთვის უსაფრთხო და ინფორმაციული გზით. ისინი წარმოადგენენ ვიზიტორის პროგრამის შემადგენელ ნაწილს ეკოსისტემის პროდუქტებსა და ღირსშესანიშნაობებთან ერთად. დაცულია ან აღდგენილია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიცია.

მუხლი 24. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები ადგილობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის სასარგებლოდ

კონტრიშის დაცული ტერიტორიის არსებობით გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ზოგადი კეთილდღეობა და ხორციელდება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარება. კონტრიშის დაცული ტერიტორიების მდგრადი მართვა უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას, მათ შორისაა არამერქნული ტყის პროდუქტები, სამოვრები, შეშა, სასმელი და ტექნიკური წყალი (სასმელი, საირიგაციო და ენერგეტიკული დანიშნულების წყლის რესურსები, და სხვა). რეგიონის ბუნებასა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო, ესთეტიკური და სულიერი ფასეულობები მოიზიდავენ ტურისტებს საქართველოს სხვა რეგიონებიდან და მის ფარგლებს გარედან, რაც მოახდენს ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებას და ეკოტურიზმის განვითარებას.

მუხლი 25. ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები

კონტრიშის დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას და უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ხდება ბუნებრივი რესურსების „არამომხმარებლურ“ გამოყენებაზე დაფუძნებული ალტერნატიული შემოსავლების (მაგ. წარმატებით ვითარდება ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმი) ხელშეწყობა და განვითარება, რაც ამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას ბუნებრივ რესურსებზე.

მუხლი 26. განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის შესაბამისი საველე პირობების შექმნასთან დაკავშირებული მიზნები

კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას აქვს წარმატებული თანამშრომლობა საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებთან, ასევე დამოუკიდებელ მკვლევარებთან. ადმინისტრაციას გააჩნია სრულფასოვანი სამეცნიერო ინფორმაცია ტერიტორიის ყველა ძირითადი ღირებულებების შესახებ დაცული ტერიტორიის მართვის ეფექტურად წარმართვისთვის. კონტრიშის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საინტერესო სამეცნიერო-კვლევით ბაზას ქართველი და უცხოელი მეცნიერებისთვის.

მუხლი 27. ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

ადმინისტრაციას გააჩნია ყველა აუცილებელი რესურსი იმისათვის, რომ განაგრძოს ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების კონსერვაცია და გაუმჯობესება. ადმინისტრაციის თანამშრომლების სათანადო რაოდენობა ადეკვატურად აღჭურვილია ფინანსური, ტექნიკური, ინფრასტრუქტურული რესურსით, საჭირო ცოდნით, უნარებით და დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვის გამოცდილებით.

თავი IV. კონტრიშის დაცული ტერიტორიების სიტუაციური ანალიზი

მუხლი 28. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა



1. ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების მდგომარეობა: კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები განისაზღვრა ზემოთ მოცემული მე-13 მუხლის (ე) პუნქტში. მდგომარეობის ატრიბუტები (მახასიათებლები) განისაზღვრა თითოეული ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებისთვის და მაქსიმალურად შეგროვდა ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ (ცხრილი 7). თუმცა, კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების ზოგიერთი ძირითადი ღირებულებების მდგომარეობის შესახებ. საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება და შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველი ციკლის განმავლობაში. აღნიშნული საჭიროებები ასახულია წინამდებარე მენეჯმენტის გეგმის პროგრამებში – 44-46 მუხლებში.

ცხრილი 7. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და შესაბამისი ატრიბუტების არსებული მდგომარეობა

ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება	მდგომარეობის ატრიბუტი	არსებული მდგომარეობა
შერეული კოლხური ტყეები	ტყის ფართობი (ჰა)	1994 წლის მონაცემების მიხედვით, მთლიანი ტყის ფართობი შეადგენს 13,350 ჰა-ს. განახლებული მონაცემები არ მოიპოვება.
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს განახლებული ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები
	ძირითადი სახეობების არსებობა: აღმოსავლური წიფელი (<i>Fagus orientalis</i> Lipsky) წაბლი (<i>Castanea sativa</i> Mill). ქვეტყე წარმოდგენილი მარადმწვანე მცენარეებით, მათ შორის: კოლხური ბუა (<i>Buxus colchica</i> Pojark.), წყავი (<i>Laurocerasus officinalis</i> M.Roem.), ბაძგი (<i>Ilex colchica</i> Pojark.) და ა.შ	ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება
ფიტო და ენტო მავნებლების და დაავადებების არსებობა	წაბლის მენადმე ჩრჩილი (<i>Cameraria ohridella</i> Deschka & Dimic.), წაბლის კიბო (<i>Cryphonectria Parasitica</i>), მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (<i>Tischeria complanella</i> Hb.), ამერიკული თეთრი პეპელა (<i>Hyphantria cunea</i> Drury). ბუხის აგრესიული მავნებელი მატლის – ბუხის ალურა (<i>Cydalima perspectalis</i> Walke.). მავნებელი სოკო: ბუხის სიდამწვრე (<i>Cylindrocladium buxicola</i>)	
შერეული ფოთლოვანი ტყეები ერთეული წიწვოვანი სახეობებით	ტყის ფართობი (ჰა)	განახლებული მონაცემები არ მოიპოვება.
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები	არ არსებობს განახლებული ტყის ინვენტარიზაციის მონაცემები
	ძირითადი სახეობების არსებობა: წიფელი (<i>Fagus orientalis</i> Lipsky) კავკასიური სოჭით (<i>Abies nordmanniana</i> (Stev.) Spach), და აღმოსავლური ნაძვით (<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.).	ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება
მავნებლების არსებობა	წიწვოვნებზე საშიში მავნებლები არ არის გამოვლენილი.	
ფართობი (ჰა)	ფართობი (ჰა)	განახლებული მონაცემები არ მოიპოვება.
	სტანდარტული კორომის მახასიათებლები/ მდელოების უცვლელობა საძოვრების დეგრადაციის ინდექსზე დაყრდნობით	არ არსებობს რაოდენობრივი მონაცემები



სუბალპური ტყეები და მდელოები:	ძირითადი სახეობების არსებობა მედევედვის არყი (<i>Betula medwedewii</i> Regel), პონტის მუხა (<i>Quercus pontica</i> C.Koch), უნგერნის შქერი (<i>Rhododendron ungerii</i> Trautv) ჭყორი (<i>Ilex colchica</i> Pojark.), წყავი (<i>Laurocerasus officinalis</i> M.Roem), კლდის მოცხარი (<i>Ribes biebersteinii</i> Berland).	ინფორმაცია მათი დაფარულობის/სიხშირის შესახებ არ მოიპოვება.
ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ფლორის სახეობები	გავრცელების არეალი მათ შორის, კოლხური ბუხა (<i>Buxus colchica</i> Pojark), ჭყორი (<i>Ilex colchica</i> Pojark.), ა.შ.	ინფორმაცია მავნებლების შესახებ არ მოიპოვება
მდინარეები და ნაკადულები	რიცხოვნობა • მდინარის კალმახის (<i>Salmo trutta fario</i>) • შავი ზღვის ორაგული (<i>Salmo labrax</i>)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია. არსებული ინფორმაციის მიხედვით შავი ზღვის ორაგული ადიოდა კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე. თუმცა ბოლო პერიოდში იგი არ აღრიცხულა მდ. კინტრიშში კინტრიშის დაცული ტერიტორიების საზღვრებში.
საფრთხის ქვეშ მყოფი ჩლიქოსნები	რიცხოვნობა • არჩვი (<i>Rupicapra rupicapra</i>);	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
საფრთხის ქვეშ მყოფი ტყის მტაცებლები	რიცხოვნობა • მურა დათვი (<i>Ursus arctos</i>); • ფოცხვერი (<i>Lynx lynx</i>).	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველები	მობუდარი წყვილების რაოდენობა • კავკასიური როჭო (<i>Lyrurus mlkosiewiczii</i>);	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი ჰერპეტოფაუნა	წამყვანი სახეობების რიცხოვნობა და შეხვედრის რაოდენობა • მცირეაზიური ტრიტონი (<i>Triturus vittatus</i> (<i>Ommatotriton ophryticus</i>) • კავკასიური სალამანდრა (<i>Mertensiella</i> <i>caucasica</i>)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია.
ენდემური უხერხემლოები	ენდემური და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გავრცელების არეალის რაოდენობა ან სიხშირე.	არ არსებობს ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ. საჭიროა საბაზისო კვლევა.
კინტრიშის მდინარე/ შენაკადები/ტბები	რიცხოვნობა: მდინარის კალმახის (<i>Salmo trutta fario</i>)	არსებული მდგომარეობის შესახებ არ არსებობს სანდო ინფორმაცია. არსებული ინფორმაციის მიხედვით შავი ზღვის ორაგული ადიოდა კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე. თუმცა ბოლო პერიოდში იგი არ აღრიცხულა მდ. კინტრიშში კინტრიშის დაცული ტერიტორიების საზღვრებში.



ტერიტორიების სხვა ღირებულებები ერთი მხრივ, მოიცავენ უნიკალურ გეოლოგიურ ფასეულობებს, ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს და მეორე მხრივ, ღირებულებებს, რომლებიც უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები).

3. გეოლოგიური ღირებულებების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გეოლოგიური ღირებულებებიდან აღსანიშნავია სარბიელას ქვაბული, ქვაკაცის 10 მ-იანი შთენილი ლოდები, ჩანჩქერები, და ა.შ. გეოლოგიური ღირებულებები დეტალურადაა შესასწავლი. კულტურული ღირებულებების მდგომარეობა (მათ შორის, თაღოვანი ხიდები, ეკლესიის ნანგრევები და ა.შ.) ასევე უნდა იქნას შესწავლილი.

მუხლი 29. დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებების პირდაპირი საფრთხეები

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების პირდაპირ და არაპირდაპირი საფრთხეები მოცემულია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8: სამიზნე ღირებულებების პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეები

პირდაპირი საფრთხეები	არაპირდაპირი საფრთხეები	ზეგავლენის ქვეშ მყოფი ღირებულებები	საფრთხის დონე
კონტრიშის ჰესი	<ul style="list-style-type: none"> • კერძო ინტერესები • ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა • ენერჯო პოლიტიკა • მომველებული ტექნოლოგიების გამოყენება და ხარვეზები დაგეგმარებისას • ბუნების დაცვის ინიციატივების ნაკლებ პრიორიტეტულობა 	<p>მდინარეები და შენაკადები</p> <p>თევზი: მდინარის კალმახი (<i>Salmo fario trutta</i>);</p> <p>წავი (<i>Lutra lutra</i>);</p> <p>ანადრომული თევზის სახეობები: შავი ზღვის ორაგული (<i>Salmo labrax</i>)</p> <p>უხერხემლოები</p> <p>სტრესი:</p> <p>თევზების მიგრაციისა და გამრავლებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ლიფსიტების განადგურება მილსადენებში, რეზერვუართან დაცული ტერიტორიის შესასვლელში მდინარეში წყალმცირობა, თევზსავალი რომელიც ხელს უშლის თევზის მიგრაციას (შეინიშნება კალმახის მდგომარეობის გაუარესება), ასევე დინების სიჩქარე და ხარჯი მცირე და ვერ უზრუნველყოფს თევზის სახეობების მიგრაციას.</p> <p>თევზის შემცირების გამო წავის საბინადრო გარემოს (ჰაბიტატის) გაუარესება და მათი რაოდენობის შემცირება</p>	მაღალი
	<ul style="list-style-type: none"> • გლობალურად სათბური გაზების 	<ul style="list-style-type: none"> • სუბ-ალპური ჰაბიტატები (ზეწოლა: ფართობის შემცირება, ტყის ზედა საზღვრის გადაადგილების გამო) • ტყის სახეობები: <p>წაბლი (<i>Castanea sativa</i> Mill) დაავადების გამომწვევები: წაბლის კიბო (<i>Cryphonectria parasitica</i> Murr.Barr) და წაბლის მენადმე ჩრჩილი (<i>Cameraria ohridella</i> Deschka & Dimic.).</p> <p>კოლხური ბუზა (<i>Buxus colchica</i> Pojark.) დაავადების გამომწვევი ბუზის ალურა (</p>	



კლიმატის ცვლილება	<p>გამოყოფა (აღნიშნული საკითხების გადაჭრა სცილდება მენეჯმენტის გეგმის ფარგლებს)</p>	<p><i>Cydalima perspeqali</i> Walker.) და ბზის სიღამწვერე (<i>Cylindrocladium buxicola</i> Henricot.).</p> <p>აღმოსავლური წიფელი (<i>Fagus orientalis</i> Lipsky) დაავადების გამომწვევი ნამდვილი აბედა სოკო (<i>Fomes fomentarius</i> Gill.).</p> <ul style="list-style-type: none"> (სტრესი: მეტად გახშირებული დაავადებები და ინვაზიური სახეობების გავრცელება) <p>მდინარე და ლიტორალური ჰაბიტატები (სტრესი: სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ფიზიკური ზარალი)</p>	საშუალო
უკანონო თევზჭერა	<ul style="list-style-type: none"> სამოყვარულო თევზაობის ინტერესი კანონდარღვევების გამოვლენისთვის არსებული ბარიერები (მომველებული ტექნიკა კანონდარღვევის დასაფიქსირებლად, არასაკმარისი რაოდენობის რეინჯერები) ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა თევზე, როგორც საკვებ პროდუქტზე მოთხოვნილების გაზრდა ადგილობრივ მოსახლეობაში ტურისტული ბიზნესის განვითარებასთან ერთად თევზზე კომერციული ინტერესის 	<p>მდინარის კალმახი (<i>Salmo trutta fario</i>)</p> <p>წავი (<i>Lutra lutra</i>)</p> <p>თევზის შემცირების გამო წავის საბინადრო გარემოს (ჰაბიტატის) გაუარესება და მათი რაოდენობის შემცირება</p>	საშუალო
უკანონო ჭრები	<ul style="list-style-type: none"> სამასალე მერქანზე მოთხოვნა ადგილობრივ მოსახლეობაში (პოტენციურად გაიზრდება ვიზიტორების რაოდენობის ზრდასთან ერთად) ვიზიტორების რაოდენობის გაზრდა ადვილად ხელმისაწვდომი მერქანი (ადგილმდებარეობის გამო) საინფორმაციო ნიშნების ნაკლებობა არსებული ბარიერები კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად: <p>მომველებული საკომუნიკაციო საშუალებები (მომველებული რაციები, სუსტი მობილური კავშირი, ფოტოხაფანგების ნაკლებობა, ა.შ.)</p> <p>პატრულირების სქემის განახლება დაცული ტერიტორიების კატეგორიების ცვლილებასთან დაკავშირებით (პოტენციურად).</p>	<p>ენდემური და გლობალურად საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეული სახეობები:</p> <p>წაბლი (<i>Castanea sativa</i> Mill), კაკალი (<i>Juglans regia</i> L.), აღმოსავლური წიფელი (<i>Fagus orientalis</i> Lipsky)</p>	საშუალო
უკანონო ნადირობა	<ul style="list-style-type: none"> ინტერესი მეზობელი რეგიონებიდან სამოყვარულო ნადირობაზე კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის, კერძოდ მურა დათვითან. არსებული ბარიერები კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად: <p>მომველებული საკომუნიკაციო საშუალებები (მომველებული რაციები, სუსტი მობილური კავშირი, ფოტოხაფანგების ნაკლებობა, ა.შ.)</p> <ul style="list-style-type: none"> გადაადგილების საშუალებების ნაკლებობა მიუწვდომელ ადგილებზე დროულად მიღწევის მიზნით (კვადროციკლები) 	<p>არჩვი (<i>Rupicapra rupicapra</i>), მურა დათვი (<i>Ursus actors</i>), კავკასიური როჭო (<i>Lyrurus mlokosiewiczii</i>);</p>	საშუალო



	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო დაფებისა და ნიშნების ნაკლებობა • ხორცზე მოთხოვნა 		
დანაგვიანება ვიზიტორებისა და ადგილობრივების მხრიდან	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართავობა (მუნიციპალურ დონეზე) • ნარჩენების მართვის გეგმის საჭიროება კინტრიშის დაცული ტერიტორიისთვის • ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა • ვიზიტორთა დაბალი ცნობიერება • საინფორმაციო ნიშნების ნაკლებობა • სადამკვირვებლო ტექნიკის ნაკლებობა 	<p>ტყის და სუბალპური ჰაბიტატები ტურისტული ბილიკების გასწვრივ, მდინარის სანაპიროები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები.</p> <p>(დანაგვიანებამ შესაძლებელია მოახდინოს ხანძრების პროვოცირება).</p>	დაბალი
ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა • დაცული ტერიტორიის გაუმჯობესებული მისაწვდომობა (გზის რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი) • ვიზიტორებისთვის სერვისებისა და პროდუქტების დივერსიფიკაცია • პოპულარობის გაზრდა • ვიზიტორების მენეჯმენტისას არ ხდება საკმარისად ვიზიტორებისა და ღირებულებების გათვალისწინება 	ყველა ძირითადი ღირებულება	საშუალო
		სტრესი	
		ჰაბიტატებზე ზეგავლენა	
		სახეობებზე ზეგავლენა	
		დანაგვიანება	ხანძრები
პოტენციური საფრთხეები			
ტყის ზედა საზღვარზე ძოვება	<ul style="list-style-type: none"> • პირუტყვის რაოდენობის ზრდა • ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა • ადგილობრივ პროდუქტზე მოთხოვნილების ზრდა 	სუბალპური მდელოები და ტყე, ტყის ზედა საზღვარი	დაბალი
ინვაზიური სახეობები			
(მაგალითად: . ფსევდოაკაცია - <i>Robinia pseudoacacia</i> Linne and ჩინური ხემყრალი - <i>Ailanthus</i> <i>altissima</i> Mill, <i>Hemarthria altissimah</i> (Poir.) Stapf. & C. E. Hubb.,			
პასპალუმი - <i>Paspalum dilatatum</i> Poir.,	<ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილება • არსებულ სახეობებზე დაავადებების გავრცელება • ინვაზიურ სახეობებსა და მათი ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის დეფიციტი • ადამიანის ზემოქმედება 	ძირითადი ტყის ჰაბიტატები და მდელოები	დაბალი
სპირეა - <i>Spiraea japonica</i> L.f,			
აზიური ფაროსანა (<i>Halyomorpha halys</i>)			
ინვაზიური ცხოველები – მავნებელი მწერები: ბზის ალურა – <i>Cydalima perspectalis</i> , ექვსკბილა ქერქიჭამია – <i>Ips</i> <i>sexdentatus</i> , კენწეროს			



ქერქიჭამია – Ips acuminatus			
ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება (პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე)	<ul style="list-style-type: none"> • ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა • კერძო ინტერესები • ეკონომიკური ინიციატივები 	<p>ჰაბიტატების ფრაგმენტაცია</p> <p>ხმაური</p> <p>მცენარეული სახეობები</p> <p>დაბინძურება</p>	საშუალო
არსებული მიწების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • პირუტყვის რაოდენობის ზრდა • ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა • ადგილობრივ პროდუქტზე მოთხოვნილების ზრდა 	სუბ-ალპური მდელოები	დაბალი

2. სხვა ღირებულებების საფრთხეები: საფრთხეები გეოლოგიურ და კულტურულ ღირებულებებზე შესაძლოა გამოიწვიოს ვიზიტორთა გაზრდილმა რაოდენობამ, ინფრასტრუქტურის განვითარებამ, კლიმატის ცვლილებამ და ეროზიამ. ამ ეტაპზე, კულტურული ძეგლები ცუდ მდგომარეობაშია მოუვლელიობის შედეგად.

3. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ეკოსაგანმანათლებლო, ეკოტურისტულ და მთლიანად სოცალურ-ეკონომიკურ ღირებულებებთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების საფრთხეებად მოიაზრება ის საფრთხეები, რომლებიც გავლენას ახდენს ეკოსისტემების შესაძლებლობებზე, რომელიც საჭიროა ეკოსისტემური სერვისების მიწოდებისთვის, რომელიც იცავს ამ ღირებულებებს, ანუ ცხრილ 8-ში ჩამოთვლილი საფრთხეები.

მუხლი 30. ბუნებრივი რესურსების დაცვა და პატრულირება

1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საპატრულო საქმიანობა მიმართული იყო ნაკრძალის მკაცრ დაცვაზე და დაცული ლანდშაფტის რესურსთსარგებლობის (ტყეთსარგებლობა და მიწათსარგებლობა მიწის) კონტროლზე. მკაცრი დაცვის რეჟიმი გავრცელდება კინტრიშის დაცული ტერიტორიების ნაკრძალის ტერიტორიასა და ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაზე, ხოლო რესურსთსარგებლობის კონტროლი ეროვნული პარკის ტრადიციული ზონის ფარგლებში იმოქმედებს.

2. კინტრიშის დაცული ტერიტორიები დაყოფილია 6 სარეინჯეროდ.

3. სულ დაცული ტერიტორიების პატრულირებას უზრუნველყოფს 6 რეინჯერი, დაცვის განყოფილების უფროსი და ერთი ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი. შესაბამისად თითო სარეინჯეროზე თითო რეინჯერი აკონტროლებს. რეინჯერების აღნიშნული რაოდენობა არ არის საკმარისი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური პატრულირება და უკანონო ქმედებების აღმოფხვრა. განსაკუთრებით რთულია უკანონო თევზჭერის კონტროლი ამ თვალსაზრისით.

4. დაცული ტერიტორიების სააგენტო ყოველწლიურად ამტიკებს ტერიტორიული ადმინისტრაციისთვის ამტიკებს დაცვის სამოქმედო გეგმას. დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება პატრულირების მეშვეობით. ყოველწლიურად ხდება არსებული პატრულირების მარშრუტების გადახედვა და საჭიროების შესაბამისად საპატრულო მარშრუტების კორექტირება.

5. მომდევნო თვის საპატრულო გეგმის შედგენა თითოეული რეინჯერისათვის ყოველი თვის ბოლოს ხდება და ადმინისტრაციის დირექტორის მიერ მტკიცდება. დგება რეინჯერთა საპატრულო სამოქმედო გეგმა-გრაფიკი, ასევე მოულოდნელი რეიდების გეგმა-გრაფიკი და რეინჯერთა სადგურზე (ცხემვანი) მორიგეობის გეგმა-გრაფიკი. საპატრულო მარშრუტების შედგენა ხდება წინა წლის მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოვლენილი სამართალდარღვევების „ცხელი წერტილების“ შეფასების საფუძველზე. Googlemap-ის გამოყენებით ხდება ელექტრონულად ინფორმაციის დატანა რუკაზე საფეხმავლო ბილიკების შესახებ (ბილიკები რუკაზე დატანილია სარეინჯეროების მიხედვით და თან ერთვის ბილიკების ზოგადი აღწერილობა). GPS ხელსაწყოს მეშვეობით შექმნილია ზუსტი საპატრულო



მარშრუტების ე.წ. ტრეკები, რაც მომავალში შესაძლოა ანალიზისთვის და პატრულირების დახვეწისთვის იქნას გამოყენებული. ამ ეტაპზე ინფორმაციის სრულყოფილი ანალიზი არ ხდება.

6. ამჟამად სულ შემუშავებულია 19 საფეხმავლო, 4 სამანქანაო-საპატრულო და 4 საცხენოსნო მარშრუტი. 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით რეინჯერთა მიერ განხორციელებულია საფეხმავლო მარშრუტებზე შემოვლა 269-ჯერ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 81-ჯერ. სულ 350-ჯერ. გავლილია ფეხით 9672კმ, ავტომანქანით 6325 კმ. ცხენით 270 კმ. საერთო ჯამში გავლილი და გარბენილია 16267კმ. არსებული საპატრულო მარშრუტები ძირითადად მოიცავს დაცული ტერიტორიის ყველა ნაწილს. თუმცა ზოგიერთ მარშრუტზე მუდმივი პატრულირება გართულებულია ინტენსიური მცენარეული საფარის გამო და ზამთარში თოვლის საფარის გამო. რეინჯერებს არ აქვთ შესაბამისი აღჭურვილობა ზამთარში რომ აწარმოონ ტერიტორიის ინტენსიური პატრულირება.

7. პატრულირების შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა უმნიშვნელოა. 2017 და 2018 წლებში 4 სამართალდარღვევის ფაქტი იქნა გამოვლენილი. სამართალდარღვევების რაოდენობა შემცირებულია 2015 წელთან შედარებით (8 სამართალდარღვევის ფაქტი), თუმცა გაზრდილია 2016 წელთან შედარებით – 2 სამართალდარღვევის ფაქტი.

8. საბაზისო კვლევის მიხედვით რეკომენდირებულ იქნა ბრაკონიერობის საწინააღმდეგოდ ბრძოლის ზომების გაძლიერება. რეინჯერების მუდმივი საგუშაგოების მოწყობა საზაფხულო სადგომებთან (პერანგა, ხინო და სარბიელი), არის რეკომენდირებული. შესაძლებელია პატრულირების გაუმჯობესების მიზნით რეამოდენიმე საპატრულო ბილიკის დამატებაც. ადმინისტრაციის შეფასებით, ამ ეტაპზე დამატებითი საგუშაგოს მოწყობის საჭიროება გამოვლენილია პერანგაზე ბრაკონიერებთან ბრძოლის თვალსაზრისით.

მუხლი 31. ადამიანური რესურსები

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში არის ორი განყოფილება: ადმინისტრაციული და დაცვის განყოფილება. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გამოყოფილია სულ 11 სამტატო ერთეული, რომელიც წარმოდგენილია ადმინისტრაციის დირექტორის, ბუღალტერის, ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტის, დაცვის განყოფილების უფროსის, ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტისა და 6 რეინჯერის პოზიციებით. უნდა აღინიშნოს, რომ კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში საჭიროა დამატებით 2 თანამშრომლის (რეინჯერი) დამატება.

2. ადმინისტრაციული განყოფილების ფუნქციებში შედის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ორგანიზაციული საკითხების მართვა, ვიზიტორთა მომსახურება.

3. დაცვის განყოფილების თანამშრომლების ძირითად ფუნქციებში შედის, ტერიტორიის ფიზიკური დაცვა, პატრულირება, ბუნებრივი რესურსების გამოყენების მონიტორინგი ლანდშაფტის ტერიტორიაზე, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, კონსერვაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა და მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა და ცნობიერების ამაღლება.

4. რეინჯერები პასუხისმგებელნი არიან არა მარტო კანონდარღვევაზე და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგზე, არამედ ჩართულნი არიან ტერიტორიის დასუფთავებასა და ვიზიტორებთან ურთიერთობაში.

5. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია დაფინანსებას ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს. შემოსავლის დამატებით წყაროს ვიზიტორთა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალია (მაგ. ვიზიტორთა ცენტრიდან, საკემპინგე ადგილების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, და ა.შ.). ამავდროულად, 2017 წლიდან კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ ხორციელდება სახელფასო დანამატის გაცემა კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის, რამაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი არსებული კადრების შენარჩუნებას სისტემაში. კონტრიშის დაცული ტერიტორიები იღებს დონორულ დახმარებას (ასე მაგ., SPPA-დან, გაერო), რაც მოსალოდნელია, მომავალშიც გაგრძელდება. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის არ მომხდარა დაფინანსების დეფიციტის ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია თვლის, რომ დაფინანსების სიმწირე დაცული ტერიტორიის ეფექტური მართვისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.



6. ადმინისტრაციის თანამშრომლებს გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და უნარები (სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილება), თუმცა შემდგომი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლება. ცხრილ 9-ში ჩამოთვლილია ძირითადი მიმართულებები კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ცხრილი 9: კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოვლენილი ძირითადი მიმართულებების ნუსხა კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის

მიმართულება	
ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და კონსერვაცია	ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი/საველე ტექნიკის მოხმარება
	ინვაზიური სახეობების მონიტორინგი
	ფიტოპათოლოგიური დაავადებების მონიტორინგი
	ტყის ინვენტარიზაცია
ტურიზმის მენეჯმენტი/საზოგადოებასთან ურთიერთობა	ტურისტების მართვა
	ტურისტული სერვისები და აღრიცხვის მეთოდები
	კომუნიკაცია
პროექტების მართვა	საპროექტო წინადადებების შემუშავება
	დაფინანსების მოზიდვის მეთოდები
კომპიუტერული პროგრამები	GIS, MS Word, Excel, Access, Power point, Trippl I, etc.

მუხლი 32. ადმინისტრაციის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

1. კონტრიშის ადმინისტრაცია განთავსებულია ქ. ქობულეთში, კონტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ადმინისტრაციულ შენობაში. საგამოფენო ინერაქტიული დარბაზი განთავსებულია პირველ სართულზე. ადმინისტრაცია აღნიშნულ შენობაში გადმოვიდა 2018-წლიდან. შენობის სარემონტო სამუშაოები SPPA-ის მიერ დაფინანსებულ იქნა. შენობა თანამედროვეა. მისი განლაგება ქობულეთში მნიშვნელოვანია ვიზიტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, თუმცა უშუალოდ კონტრიშის დაცული ტერიტორიებიდან დაშორება შესაძლებელია გარკვეულწილად დისკომფორტს უქმნიდეს ვიზიტორებს (ლოგისტიკური გამოწვევა).

2. არის 1 სარეინჯერო კონტრიშის დაცული ტერიტორიების შესასვლელში (ცხემვანი) მას ორი ფუნქცია აქვს – როგორც რეინჯერთა საგუშაგო, ასევე ვიზიტორთა თავშესაფარი, რაც არასწორია და მომსვლელ ტურისტებს ღამისთევსას უქმნის დისკომფორტს. სასურველია 1 ახალი სარეინჯეროს გაკეთება იქვე გვერდით. საჭიროა მთა სარბიელაზე ტურიეტული თავშესაფრის გაკეთება, რომელიც გაანგარიშებული იქნება 12-15 ადამიანის ღამისგასათევად.

3. ადმინისტრაციას არ გააჩნია სრულფასოვანი დაცვის და ტურისტული საველე ინფრასტრუქტურა. აღჭურვილობა შემოიფარგლება მხოლოდ საველე ზურგჩანთებით, დაბალი ხარისხის ფანრებით, რაციებით. არსებული საჭიროებების შეფასების მიხედვით, საჭიროებებს.სასურველია შექმნილ იქნას ფოტოაპარატები, საველე დანები, ნაჯახები, მაღალი ხარისხის ფანრები, ჭოვრიტები, უნიფორმა.

4. ადმინისტრაციას გააჩნია 3 (სამი) მაღალი გამავლობის ავტომანქანა. 2 ცალი მისტუბიშის და 1 (ერთი)



ტოიოტა ჰაილუქსი მარკის ავტომანქანა. აქედან 1 (ერთი) როგორც პატრულირების განსახორციელებლად, ასევე საგუმბაგოებზე ცვლაში ემსახურება მორიგე რეინჯერებს.

მუხლი 33. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბუნებრივი რესურსების მოხმარება უმნიშვნელოა, რაც ერთი მხრივ 1954 წლიდან არსებული მკაცრი დაცვის რეჟიმმა, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის სიმჭირემ განაპირობა.

2. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად მერქნულ და არამერქნულ რესურსს იყენებს პირადი მოხმარებისთვის. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ოფიციალური მონაცემების მიხედვით კანონიერად გაიცემა ძირითადად საშემე მერქანი, ძირითადად 25-დან 60 კუბ მ-დე ოდენობით წელიწადში. ზოგ შემთხვევაში, ვერ ხდება გამოყოფილი მერქნის სრულად ათვისება მუდმივი მოსახლეობის სიმირის გამო. საშემე მერქნის გამოყენების არსებული სქემა მდგრადია.

3. ტრადიციულად მოიხმარს მოსახლეობა არამერქნულ რესურსებს, კერძოდ მოსახლეობა აგროვებს კაკალს, წაბლს, ჯონჯოლს, კენკრას და ბალახოვნებს. არ არის შეფასებული მათი მარაგები და არ არის დადგენილი მოხმარების კვოტები. თუმცა კონტრიშის ადმინისტრაციის შეფასების მიხედვით, ამ ეტაპზე არ ვლინდება აღნიშნული რესურსის გადაჭარბებული გამოყენება.

4. კონტრიშის ხეობის მოსახლეობისთვის ტრადიციულია მეფუტკრეობა. სკების რაოდენობა ტრადიციული მოხმარების ზონაში 500 სკას აღწევს და არ იწვევს რაიმე უარყოფით ზეგავლენას.

5. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის აღრიცხვა 25 წლის წინ, 1994 წელს მოხდა (მონაცემებით (კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციის და განვითარების პროექტი, ტომი I, წიგნი I, ახსნა-განმარტებითი ბარათი, 1994), რომლის მიხედვითაც კონტრიშის დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის საერთო ფართობია 13350 ჰა, რაც დაცული ტერიტორიის მთლიანი ფართობის (13893 ჰა) 96.1%-ია. აქედან ტყით დაფარული ფართობია 12840 ჰა. 3.6 %, ანუ 496 ჰა ტყით დაუფარავია; აქედან, 2.2 %, ანუ 298 ჰა მეჩხერ კორომებს უკავიათ და 1.4% ანუ 198 ჰა ველობებს. განახლებული ინფორმაციის არქონა ართულებს ტყის ეკოსისტემები მონიტორინგს, და საშემე მერქნის შესაბამისი კვოტების დადგენას, რათა უზრუნველყოფილი იყოს კონტრიშის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში რესურსის მდგრადი მოხმარება.

6. არასატყეო ფართობებიდან საერთო ფართობის 2%, ანუ 280 ჰა უკავია სახმარ ფართობებს, მათ შორის სათიბებს 29 ჰა, ანუ 0.2%; სამოვრებს 247 ჰა ანუ 1.8%. ამჟამად, სამოვრები არ გამოიყენება ინტენსიურად. მოსახლეობას მცირე რაოდენობის საქონელი ჰყავს, რომელიც არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას ეკოსისტემებზე.

7. კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელია ბუნებრივი რესურსების მოხმარების გაზრდა ვიზიტორების ზრდასთან ერთად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს აღნიშნული რესურსების არამდგრადი მოხმარება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ვიზიტორთა ეფექტური მართვა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების ეფექტური კონტროლი, არსებული საფრთხეების ჯეროვანი მონიტორინგის გზით.

8. სოფელ ხინოსთან არის კირქვისა და თიხის მარაგები. თუმცა არსებული რესურსი არ გამოიყენება დაცული ტერიტორიის ფარგლებში 20-25 წელია.

9. მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მდინარის ფაუნას, ახლადაშენებული კონტრიშის ჰესი, რომელიც დაცული ტერიტორიის ქვედა საზღვართან მდებარეობს. ჰესის აშენების შემდგომ კალმახისა და ორაგული პოპულაციის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა. განსაკუთრებით, აღსანიშნავია ზაფულის პერიოდი, როცა მდინარეში მხოლოდ ჩამონადენის 10% რჩება, რაც არახელსაყრელ პირობებს ქმნის თევზების მიგრაციისა და გამრავლებისთვის. შესასწავლია თევზავალი, რომელიც არ არის სათანადოდ მოწყობილი და ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი სახეობების გადაადგილებას.

მუხლი 34. ეკოტურიზმი

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ვიზიტორთა გადაადგილება დაშვებულია



მხოლოდ კონტრიშის ეროვნული პარკის ფარგლებში. კონტრიშის ნაკრძალში მკაცრი დაცვის რეჟიმის გამო ვიზიტორები არ დაიშვებიან და შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნით წინასწარ დაცულ ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით.

2. ამჟამად ვიზიტორთა წლიური ოდენობა არ არის მაღალი, თუმცა შეინიშნება ვიზიტორთა მუდმივი ზრდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, ვიზიტორთა რიცხვმა შესაძლოა მიაღწიოს იმ ზღვრულ დონეს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კონტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების ერთიანობას პირდაპირი და არაპირდაპირი საფრთხეების მეშვეობით. შესაბამისად მნიშვნელოვანია ვიზიტორებისა და ბუნებრივი რესურსების ეფექტური მართვა და საფრთხეების მონიტორინგი რათა დაცულ იქნას კონტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებები.

3. არსებული სტატისტიკის მიხედვით, ვიზიტორთა 70% საქართველოს მოქალაქეა. კონტრიშის დაცულ ტერიტორიაზე შემოსულ უცხოელ ვიზიტორთაგან, უმეტესობას რუსი და უკრაინელი ტურისტები წარმოადგენენ. შესაბამისად, კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში ვიზიტორთათვის დაგეგმილი აქტივობები და საინტერპრეტაციო ქმედებები უნდა გათვლილი იყოს ქართველ და უცხოელ ვიზიტორებზე.

4. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით ბოლო წლებში იმატა მსურველთა რაოდენობამ ისარგებლოს კონტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურებით და ეწვიოს დაცულ ტერიტორიებს. თუმცა გაუმართავი ინფრასტრუქტურა (მისასვლელი გზა, საინფორმაციო ნიშნები, საპირფარეოები, ა.შ) წარმოადგენს ბარიერს ტურიზმის განვითარებისთვის და შესაბამისად ვერ ხერხდება არსებული ტურისტული სერვისებიდან შესაბამისი შემოსავლის მიღება.

5. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ უნდა იმუშავოს ტურისტული სერვისების გადახალისებაზე და დივერსიფიკაციაზე.

კონტრიშის დაცულ ტერიტორიებს გააჩნია საკმაოდ დიდი ეკოტურისტული პოტენციალი. სამომავლოდ შესაძლებელია ახალი ეკოტურისტული სერვისების დანერგვა, როგორცაა მაგალითად „Fly-Fishing“.

მუხლი 35. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები ესადაგება დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეკოსაგანმანათლებლო სტრატეგიის ზოგად მიმართულებებს, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას, რათა უზრუნველყოს დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური პირობების შენარჩუნება.

2. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ატარებს ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებს სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომლებიც, ძირითადად, სკოლებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ფარავს. სხვა სამიზნე ჯგუფები არ არიან სრულყოფილად დაფარული. საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს, ძირითადად, ლექციებს, პრეზენტაციებსა და სემინარებს.

3. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის კადრი, რომელიც პასუხისმგებელია ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობაზე. როგორც წესი, ვიზიტორთა სპეციალისტი ან ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ითავსებს ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობას.

4. კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე ეწყობა ეკობანაკები, ეკოტურები და სხვადასხვა ტიპის ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება. ჩვეულებრივ, ეს ქმედებები დონორული მხარდაჭერით ფინანსდება და ერთჯერადი სახე აქვს. კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არ არის მოწყობილი ეკოსაგანმანათლებლო ანუ შემეცნებითი ბილიკი, რომლის მარშრუტზე, ბილიკის შედარებით მცირე მონაკვეთზე წარმოდგენილი იქნებოდა სხვადასხვა მცენარეთა იშვიათი თანასაზოგადოება.

5. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. იგი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობასა და ცნობიერებას დაცული ტერიტორიების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების



განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას.

6. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება ცენტრალიზებულად დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ჩართულობით.

7. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკომუნიკაციო საქმიანობა მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებს. კომუნიკაცია მოსახლეობასთან ძირითადად პირდაპირი კონტაქტით, ზეპირი ფორმით ხდება საკმაოდ ინტენსიურად, ყოველდღიური მუშაობის პროცესში. თუმცა სპეციალურად რაიმე საკითხზე ინფორმირების მიზნით შეხვედრები შედარებით ნაკლებად ეწყობა. კინტრიშის ხეობის მოსახლეობის ცნობიერების დონე საკმაოდ მაღალია დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების შესახებ, რასაც ხელი შეუწყო დაცული ტერიტორიის არსებობის ხანგრძლივობამ და მკაცრმა დაცვის რეჟიმმა.

8. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს არ აქვს საკუთარი ვებ-გვერდი. პერიოდულად სიახლეების, ფოტოებისა და ვიდეო მასალის გავრცელება ხორციელდება სოციალური ქსელის საშუალებით, სადაც კინტრიშის ადმინისტრაციას აქვს მისთვის განკუთვნილი გვერდი <https://www.facebook.com/kintrishi/>.

9. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ამზადებს წლიურ ანგარიშს (“ზუნების მატინგ”), რომელიც ძირითადად ელექტრონული ფორმატით მზადდება და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ანგარიშგებისათვის გამოიყენება, ხოლო მოსახლეობას რაიმე სახით ან ფორმით არ მიეწოდება.

10. დაინტერესებულ მხარეებს შესაბამისი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ დაცული ტერიტორიის შესასვლელთან მოქმედი რეინჯერთა/ვიზიტორთა თავშესაფარიდან და ქობულეთში არსებული კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობაში განთავსებული კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციიდან.

11. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის 2016 წელს შემუშავდა კინტრიშის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია, გააუმჯობესოს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ცნობადობა, აამაღლოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში საზოგადოების ცნობიერება და გააღრმავოს დაცული ტერიტორიებისადმი პოზიტიური განწყობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.

მუხლი 36. პარტნიორული თანამშრომლობა

1. SPPA საქართველოს დახმარებით შექმნილია და ფუნქციონირებს კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია, რომელიც დონორის მიერ დაფინანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პროექტების ახორციელებს და მხარს უჭერს სხვადასხვა ადგილობრივ ჯგუფებს. მეგობართა ასოციაციის მირ ჩატარდა სოციალური დახმარებისა და სასოფლო სამეურნეო უნარ ჩვევების ტრენინგები ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რაც უწყობს ხელს მოსახლეობასა და პარკის ადმინისტრაციას შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას, და საკუთრების განცდის გაძლიერებას ადგილობრივ მოსახლეობაში. ამავდროულად, კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია ახლად შექმნილი ორგანიზაციაა და საჭიროებს შემდგომში ორგანიზაციულ განვითარებას, შესაძლებლობათა გაძლიერებას და წევრების მოზიდვას.

2. გარდა ამისა პროექტის ფარგლებში შეიქმნა კინტრიშის დაცული ტერიტორიების რეგიონული მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და თემის ლიდერები. საბჭო მონაწილეობს დაცული ტერიტორიების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მიმდებარე დასახლებების სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლების მიზნით და ეცნობა ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას. შესაბამისად ეს საბჭო წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებსა და დაცული ტერიტორიების მახლობლად არსებულ ინსტიტუტებსა თუ დაინტერესებულ მხარეთა შორის.

3. ასევე კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას გააჩნია საკონსულტაციო-სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით. საბჭოს წევრების შემადგენლობა საჭიროებს განახლებას.



მუხლი 37. კვლევა-მონიტორინგი

1. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგი. ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი რეინჯერებთან ერთად პასუხისმგებელია განახორციელოს და წარადგინოს ანგარიში მიმდინარე კვლევებსა და მონიტორინგის შედეგებზე.

2. კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევების შესაძლებლობები შეზღუდულია რესურსების სიმწირის გამო, მათ შორის ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური. შესაბამისად ადმინისტრაცია არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ბიომრავალფეროვნებისა და საფრთხეების შესახებ. ძირითადად მონიტორინგი ეყრდნობა რეინჯერთა ეპიზოდურ/შემთხვევით დაკვირვებებს. კონტრიშის ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს დაკვირვება მსხვილი ძუძუმწოვრებიდან შერჩეულ საკვანძო სახეობებზე: მურა დათვზე, შველზე, არჩვზე. ამ სახეობებზე მონიტორინგისთვის გამოიყენება ფოტოხაფანგის მასალა, მიმდინარეობს კვალისა და ექსკრემენტების დაფიქსირება, შეხვედრიანობის აღრიცხვა. ადმინისტრაცია ახორციელებს ფრინველების მონიტორინგს, ფრინველების მნიშვნელოვანი ადგილების გამოყოფას. ხდება გადამფრენ და მოზუდარ ფრინველებზე შეხვედრიანობის აღრიცხვა. ფრინველების რაოდენობის დადგენა ხდება ფოტოხაფანგის მიერ გადაღებული კადრებიდან და რეინჯერების შეხვედრიანობის ჩანაწერების მიხედვით. აღნიშნული მეთოდები ვერ იძლევა ზუსტ ინფორმაციას პოპულაციის დინამიკისა და სხვა მახასიათებლების შესახებ.

3 კონტრიშის დაცული ტერიტორიების ფარგლებში კვლევებს ახორციელებენ სხვადასხვა უნივერსიტეტები, მათ შორის ილიას სახელმწიფო და ბათუმის უნივერსიტეტები. ხშირად, კვლევის შედეგების გაზიარება არ ხდება კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის. ინფორმაცია ტყის, ფლორის, ფაუნისა და ჰაბიტატების შესახებ შესავსებია.

4. ყოველწლიურად კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აგროვებს მასალებს ბუნების მატანესთვის, რომელიც შეიცავს მეტეოროლოგიურ მონაცემებს, სტიქიურ მოვლენებზე, სახეობებზე შემთხვევითი დაკვირვების მონაცემებს, საფრთხეში მყოფი სახეობების და ჰაბიტატების ჩათვლით, აგრეთვე გარე მკვლევარებისა და მეცნიერებების საქმიანობების შესახებ ანგარიშებს, რომლებიც მუშაობენ კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე. აღნიშნული დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულყოფილად ვერ გამოდგება დაცული ტერიტორიების ადაპტაციური მენეჯმენტისთვის.

თავი V. კონტრიშის ეროვნული პარკის შიდა ზონირება, კონტრიშის ეროვნული პარკის თითოეულ ზონაში აკრძალული საქმიანობები, კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალული საქმიანობები

მუხლი 38. კონტრიშის ეროვნული პარკის ფუნქციური ზონები

1. კონტრიშის ეროვნული პარკის ტერიტორიულ-ფუნქციური ზონირების მიზანია მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების სამართლებრივი მოწესრიგება, აგრეთვე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნების მკაცრი დაცვის ზონის იდენტიფიცირება, რომელიც დაიცავს და შეინარჩუნებს კოლხური რელიქტური და მთის ტყის ეკოსისტემებს.

2. კონტრიშის ეროვნული პარკის თავისებურებების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;

ბ) ვიზიტორთა ზონა;

გ) ტრადიციული გამოყენების ზონა.



შენიშვნა: ზონირება დატანილია რუკაზე დანართ 14-ში, კოორდინატები მოცემულია დანართ 15-ში.

3. კინტრიშის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონა ეწყობა ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნების, არამანიპულაციური მეცნიერული კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს კინტრიშის ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებზეც ანთროპოლოგიური ზეგავლენა ძალიან უმნიშვნელო იყო. ეს ზონა წარმოადგენს ნაკლებად სახეცვლილ ეკოსისტემებს, გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ჰაბიტატების ძირითად გავრცელების არეალს. კინტრიშის ეროვნულ პარკში გამოიყო ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, რათა შენარჩუნებული იქნას ბუნების ხელუხლებელი კოლხური ტყეები, სადაც ბუნებრივად შენარჩუნებულია ენდემური რელიქტური და „წითელი ნუსხის“ ფლორის სახეობები, ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში გვხვდება მესამეული პერიოდის რელიქტური სახეობები, როგორცაა: წაბლი (*Castanea sativa* Mill), წიფელი (*Fagus orientalis* Lipsky), რცხილა (*Carpinus caucasica* Grossh), ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana* Steven), იმერული მუხა (*Quercus imeretina* Stev. Ex Malleev), კაკლის ხე (*Juglans regia* L.), ცაცხვი (*Tilia caucasica* Rupr), თელა (*Ulmus glabra* Huds.), რომელიც წარმოადგენილია უნიკალური ქვეტყით, სადაც გვხვდება: უნგერნის შქერი (*Rhododendron ungerii* Trautv), სმირნოვის შქერი (*R. smirnovii* Trautv. ex Regel), იელი (*Rhododendron luteum* Sweet), წყავი (*Laurocerasus officinalis* M. Roem), დეკა (*Rhododendron caucasicum* Pall), კოლხური ბუა (*Buxus colchica* Pojark). ბუნების მკაცრი დაცვის ზონა საუკეთესო საცხოვრებელ გარემოს ქმნის ისეთი ფაუნის წარმომადგენლებისთვის როგორცაა: მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), წავი (*Lutra lutra*), ევროპული შველი (*Capreolus capreolus*).

4. კინტრიშის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა ეწყობა ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. ეს ზონა მოიცავს კინტრიშის ეროვნული პარკის ეკოსისტემის ყველაზე მეტად დამახასიათებელ ნიმუშებს. ამ ზონის ზოგიერთმა ტერიტორიამ განიცადა მეტ-ნაკლები ცვლილებები ადამიანის ჩარევის შედეგად, მაგრამ აქ არ არის დაშვებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა. ვიზიტორთა ზონაში მდებარეობს დამთვალიერებლებისთვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილები, როგორცაა: მაღალი სარეკრეაციო ღირებულებითა და ბუნებრივი მახასიათებლებით გამორჩეული ტერიტორიები. ამ ზონაში ასევე შედის ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ცხოველის ჰაბიტატებს და სამიგრაციო ბილიკებს. კინტრიშის ეროვნულ პარკში გამოიყო ვიზიტორთა ზონა ტერიტორიაზე ვიზიტორთა ბილიკების არსებობის გამო (საფეხმავლო, სამანქანო, საცხენოსნო). აქ ვიზიტორს შეუძლია, მოინახულოს კოლხური ბუის კორომი და რუშავის ჩანჩქერი. სოფელ ხინოდან 12 კილომეტრის დაცილებით არის ტბა ტბიყელი, სადაც ტურისტს შეუძლია, მივიდეს ფეხით ან ცხენით და მოინახულოს გზად ულამაზესი კოლხური ტყე და ტბა ტბიყელი, რომელიც ზღვის დონიდან 2 000 მეტრზე მდებარეობს.

5. კინტრიშის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა ეწყობა ბუნების დაცვისა და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულ გამოყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. ეს ზონა მოიცავს კინტრიშის ეროვნული პარკის იმ ნაწილებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიერ განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოსაპოვებლად. კინტრიშის ეროვნულ პარკში გამოიყო ტრადიციული გამოყენების ზონა, რადგან ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში სეზონურად ცხოვრობს მოსახლეობა, რომელიც ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ჰყავს შინაური პირუტყვი, ძირითადად, ძროხა, მოჰყავს ერთწლიანი კულტურები: ლობიო, სიმინდი, კარტოფილი, ნიორი, ასევე თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს ფუტკრის სკები.

მუხლი 39. კინტრიშის ეროვნული პარკის ფუნქციური ზონების ტერიტორია და საზღვრები

1. კინტრიშის ეროვნული პარკის ფართობი განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლით და შეადგენს 10 406 ჰა-ს.

2. კინტრიშის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილი ფუნქციური ზონების ფართობებია:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა – 7 047 ჰა;

ბ) ვიზიტორთა ზონა – 928 ჰა;



მუხლი 40. კინტრიშის ეროვნული პარკის თითოეულ ზონაში აკრძალული საქმიანობები

1. კინტრიშის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგისა;

ბ) საგანმანათლებლო მიზნით საგანმანათლებლო საქმიანობისა მონიშნულ მარშრუტებზე;

გ) სტიქიური უბედურებისას, კატასტროფისას და/ან საგანგებო მდგომარეობისას კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით ავტო- მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

დ) ტერიტორიის ფიზიკური დაცვის მიზნით რეინჯერების საპატრულო ბილიკებსა და გზებზე რეინჯერების ფეხით, ცხენითა და ავტოტრანსპორტით გადაადგილებისა, არსებული საპატრულო ბილიკებისა და გზების შეკეთებისა;

ე) ბიომრავალფეროვნების აღრიცხვა-მონიტორინგისა.

2. კინტრიშის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაციისა, მოვლისა და აღდგენისა;

გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვისა და მონიტორინგისა; ტყის ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;

დ) სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგისა;

ე) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა;

ვ) კონსერვაციული ღონისძიებების განხორციელებისა;

ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

თ) მონიტორინგის სამუშაოთა განხორციელებისა;

ი) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

კ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვებისა;

ლ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მისით სარგებლობისა, მათ შორის:

ლ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);



ლ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.დ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.ე) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.ზ) საჯინბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.თ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ლ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „ლ.ა“ – „ლ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.

მ) ფეხითა და ცხენით გადაადგილებისა, ნაწილობრივ სახეშეცვლილი ბუნების ტერიტორიაზე – ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;

ნ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ო) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), არქეოლოგიური სამუშაოების, არქეოლოგიური დაზვერვის, არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის, ასევე მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყითსარგებლობისა, ასევე 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის, დემონტაჟის მიზნით განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა;

ჟ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

3. კინტიშის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა



და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვისა, მოვლისა და აღდგენისა;

გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაცვისა და მონიტორინგისა; დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ე) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა;

ვ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს, ტურისტების გადაადგილებისა გამყოლის/გიდის თანხლებით, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით ავტო-, მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ზ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

თ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;

კ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრის შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 მ³-მდე საშუალო მერქანი), მოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა;

მ) „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 2¹ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისა;

ნ) საფუტკრეების მოწყობისა;

ო) ტრადიციულ საზაფხულო სამოვრებზე მწყემსებისა და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობისა;

პ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისა;

ჟ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მისით სარგებლობისა, მათ შორის:

ჟ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);



ჟ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.დ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.ე) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.ზ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.თ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ჟ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „ჟ.ა“ – „ჟ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს.

რ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ს) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 3¹ პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება №345 - ვებგვერდი, 14.07.2021 წ.

მუხლი 41. კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალული საქმიანობები

კონტრიშის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიებისა;

ბ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგისა;

გ) ბიოტექნიკური ღონისძიებებისა;

დ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 42. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და კონტრიშის დაცული



ტერიტორიების ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე.

2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება სამწლიანი საოპერაციო და წლიური სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმაში ასახულია განსახორციელებელი ქმედებები, შესაბამისი ბიუჯეტის და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით, განსაზღვრულია პრიორიტეტები.

3. დაცული ტერიტორიების სააგენტო, კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, როდესაც ეს აუცილებელი და საჭიროა.

მუხლი 43. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მართვის ცხრა პროგრამას. ამ პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღწერილია სიტუაციურ ანალიზში (თავი IV). ეს პროგრამებია:

- ა) პატრულირება და კანონალსრულება;
- ბ) ბიომრავალფეროვნებასა და არსებულ საფრთხეებზე მონიტორინგი;
- გ) ხანძრების, მავნებლებისა და დაავადებების მართვა;
- დ) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;
- ე) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია/აღდგენა;
- ვ) ეკო-ტურიზმი და ვიზიტორთა მართვა;
- ზ) გარემოსდაცვითი განათლება;
- თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ი) კონტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის გაძლიერება.

2. მენეჯმენტის გეგმის მომდევნო მუხლები (44-52) განსაზღვრავენ მენეჯმენტის გეგმის პროგრამების მიზნებს, შესაბამის ინდიკატორებს და შემოწმების საშუალებებს. თითოეული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საოპერაციო და ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიცვალოს ან შესწორდეს ქმედებები მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პერიოდში საოპერაციო გეგმების შემუშავების პერიოდში, რათა მიღწეულ იქნას თითოეული მენეჯმენტის პროგრამის მიზანი.

მუხლი 44. პატრულირებისა და კანონალსრულების პროგრამა

პატრულირებისა და კანონალსრულების პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ძირითადი ღირებულებების დაცვა ბრაკონიერობისგან, ხანძრების, დაბინძურების და იმ საფრთხეებისგან, რომლებიც გამოვლენილ იქნა სიტუაციური ანალიზის დროს და იდენტიფიცირებულია 28-ე მუხლის მე-4 ცხრილში.

მიზანი 1: გაუმჯობესებულია კონტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების დაცვა, უკანონო ქმედებებისა და სხვა არსებული საფრთხეების გაძლიერებული კონტროლის შედეგად.

ინდიკატორი 1: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-3 წლისთვის, გაძლიერებულია ადმინისტრაციის შესაძლებლობები თავიდან აირიდოს და გააკონტროლოს უკანონო ქმედებები და სხვა საფრთხეები კონტრიშის დაცულ ტერიტორიებზე.



ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1.1 დაცული ტერიტორიის პატრულირება არსებული პატრულირების სქემის (სარეინჯერო უბნების, მარშრუტების, პროცედურების) მიხედვით. ყოველწლიურად პატრულირების სქემისა და პროცედურების განახლება გამოვლენილი საფრთხეების და დამატებითი შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში (როგორცაა მაგ. რეინჯერების რაოდენობის გაზრდა).	არსებული პატრულირების სქემა და ყოველწლიური განახლებები შესრულებულია.	პატრულირების სქემა. პატრულირების ოქმები.	
1.2 დაცული ტერიტორიებისა და შესაბამისი დაშვებული და აკრძალული საქმიანობების შესახებ საინფორმაციო ნიშნებისა და დაფების განთავსება დაცული ტერიტორიების საზღვრებთან.	მენეჯმენტის გეგმის შესრულების მე-9 წლისთვის, დამონტაჟებულია 70 დაფა.	საინფორმაციო ნიშნების და დაფების რუკა და ფოტო დოკუმენტაცია.	SPPA-ის მხარდაჭერა.
1.3 ცხემვანში შესასვლელის განახლება.	განახლებულია შესასვლელი ჭიშკარი ცხემვანში მენეჯმენტის გეგმის შესრულებიდან მე-4 წელს.	შესასვლელის ფოტო-მასალა.	
1.4 ხერგილების მოწყობა.	4 ხერგილია მოწყობილი მენეჯმენტის გეგმის შესრულებიდან მე-4 წელს..	რუკა და ფოტო-მასალა.	
1.5 ცხემვანში რეინჯერთა თავშესაფარის (ცალკე შენობა) მოწყობა.	აშენებულია ცალკე რეინჯერთა თავშესაფარი მენეჯმენტის გეგმის შესრულების მე-9 წლისთვის..	სამცველოების ფოტო-მასალა და ფინანსური ანგარიშები.	დამატებითი დაფინანსება.
1.6 ტურისტული თავშესაფარის მოწყობა ტბიყელის ტბასთან (შესაძლოა კომბინირებული იყოს ვიზიტორთა თავშესაფართან).	აშენებულია ცალკე ტურისტული თავშესაფარი მენეჯმენტის გეგმის შესრულების მე-9 წლისთვის..	სამცველოების ფოტო-მასალა და ფინანსური ანგარიშები.	დამატებითი დაფინანსება
1.7 ყოველთვიური შეხვედრები შესაბამის უწყებებთან, მათ შორის მუნიციპალიტეტთან, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან, კანონდღსრულებასთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტურად განხორციელების მიზნით.	სულ მცირე ერთი შეხვედრა შესაბამის უწყებასთან ყოველთვიურად.	ერთობლივი შეხვედრის ამსახველი ოქმები.	

მუხლი 45. ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების და საფრთხეების მონიტორინგი

აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია უზრუნველყოს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების და სხვა ღირებულების რეგულარული მონიტორინგი და ხელი შეუწყოს კინტრიშის დაცული ტერიტორიის ძირითადი ღირებულებებისა და საფრთხეების შესახებ უახლესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მონიტორინგის პროგრამა გამიზნულია დაეხმაროს ადაპტური მენეჯმენტის განხორციელებას კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე, სხვადასხვა გზით, მათ შორის: ა) მონიტორინგის საშუალებით ხდება მენეჯმენტის გეგმის პროგრამების ეფექტურობის შეფასება და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა, რომლებიც ხელს უწყობს გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას, და შესაბამისად მენეჯმენტის გეგმის განახლება მისი მოქმედების 9 წლიანი ციკლის შემდგომ. ბ) მონიტორინგის საშუალებით ხდება ბუნებრივ და სოციალურ-კულტურული გარემოში ცვლილებების აღრიცხვა, რათა დროულად მოხდეს მენეჯმენტის დროს მათზე რეაგირება. გ) ხელს უწყობს არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებას კინტრიშისა და საქართველოს სხვა დაცულ ტერიტორიებზე.



მონიტორინგის პროგრამის საფუძველია გრძელვადიანი მიზნების ინდიკატორები, ძირითადი ღირებულებები და გამოვლენილი საფრთხეები.

მიზანი 2: ინფორმაცია ძირითადი ღირებულებების მდგომარეობისა და საფრთხეების განვითარების ტენდენციების შესახებ ხელმისაწვდომია და განახლებულია დაცული ტერიტორიების ადაპტური მართვის მიზნით.

ინდიკატორი 2: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს ხელმისაწვდომია განახლებული ინფორმაცია კინტრიშის დაცული ტერიტორიების ღირებულებებისა და საფრთხეების 70%-ის შესახებ და ასახულია შესაბამის მონაცემთა ბაზაში.

კმედებები	ინდიკატორი	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
2.1 ძირითადი ღირებულებებისა და მათზე მოქმედი საფრთხეების შესახებ ინფორმაციის შევსება და საბაზისო მონაცემების სრულყოფა.	მენეჯმენტის გეგმის დასრულებისთვის, ჩატარებულია ბიომრავალფეროვნების ძირითადი ღირებულებების ინვენტარიზაცია და ჩატარებულია საბაზისო შეფასება 5 პრიორიტეტული საფრთხისთვის.	ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების ინვენტარიზაციის ანგარიში და ანგარიში საფრთხეების საბაზისო ინფორმაციის შეფასების შესახებ. მონაცემთა ბაზა და საბაზისო ინფორმაციის შესახებ შესაბამისი ანგარიშები	საჭიროებისამებრ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, გარე ექსპერტების ჩართვა.
2.2 ტყის ფართობისა და სამიზნე სახეობების შესახებ საბაზისო ინფორმაციის შეგროვება და მონიტორინგის წარმოება დისტანციური ზონდირების მეთოდის გამოყენებით ან ინვენტარიზაციის მეშვეობით.	საბაზისო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და მიმდინარეობს მონიტორინგი ტყის მონიტორინგის პროგრამის მიხედვით.	მონიტორინგის მონაცემები და ანგარიშები.	გარე ექსპერტებთან თანამშრომლობა, დამატებითი გარე დაფინანსება
2.3 ფოცხვერის (<i>Lynx lynx</i>) მონიტორინგის გეგმის შემუშავება და მონიტორინგი	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში. ფოტო და ვიდეომასალა,	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.4 არჩვის (<i>Rupicapra rupicapra</i>) მონიტორინგის გეგმის შემუშავება და მონიტორინგი	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტო და ვიდეომასალა	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.5 კავკასიურ როჭოს (<i>Lyrurus mlokosiewiczii</i>) მონიტორინგის გეგმის შემუშავება და მონიტორინგი	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში, ფოტო და ვიდეომასალა	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.6 კავკასიური სალამანდრას (<i>Mertensiella caucasica</i>) მონიტორინგის პროგრამის შემუშავება და მონიტორინგი	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში, ფოტო და ვიდეომასალა	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.7 კალმახის (<i>Salmo trutta fario</i>) მონიტორინგი	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში, ფოტო და ვიდეომასალა	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.8 სამიზნე მცენარეული			



სახეობების მონიტორინგი, მათ შორის: მედევედვის არყი (<i>Betula medwedewii</i> Regal), კოლხური ზზა (<i>Buxus colchica</i> Pojark), პონტოს მუხა (<i>Quercus pontica</i> K.Koch), ჩვეულებრივი ურთხელი (<i>Taxus baccata</i> L.), უნგერნის შქერი (<i>Rhododendron ungeri</i> Trautv)	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია.	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში, ფოტოები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.9 მონიტორინგი მთის შროშანსა (<i>Lilium szovitsianum</i> Fisch.&Avé-Lall.) და აჭარულ ხახვზე (<i>Allium adzhaticum</i> Popov)	მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები. ჰაბიტატების რუკები შედგენილია და ხელმისაწვდომია	მონაცემთა ბაზა. მონიტორინგის ამსახველი ანგარიში და ფოტოები.	თანამშრომლობა კვლევით დაწესებულებებთან და დონორ ორგანიზაციებთან
2.10 პირდაპირი საფრთხეების მონიტორინგი, მათ შორის: კინტრიშის ჰესის ზეგავლენა, მავნებლები, დაავადებები, და დანართ 16-ში ჩამოთვლილი სხვა საფრთხეები.	ხელმისაწვდომია მონიტორინგის შედეგები მონაცემთა ბაზაში.	მონიტორინგის ანგარიშები.	
2.11 ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულების და აღქმის გამოკვლევა	ხელმისაწვდომია მოსახლეობის აღქმის და გათვითცნობიერების კვლევა, 9 წელიწადში ერთხელ მენეჯმენტის გეგმის პერიოდში.	კვლევის ანგარიში	გარეშე თანამშრომლობის მეშვეობით
2.12 ვიზიტორებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მონიტორინგი	ხელმისაწვდომია შემოსავლების ჩანაწერები ან კვლევა, 3 წელიწადში ერთხელ მენეჯმენტის გეგმის პერიოდში. მონაცემები ასახულია მონაცემთა ბაზაში.	კინტრიშის დაცული ტერიტორიებიდან შემოსავლების წილი ტურიზმის საფასურიდან ყოველწლიური APA-ს სტატისტიკა	
2.13 ვიზიტორთა კმაყოფილების/აღქმის მონიტორინგი	სტატისტიკა, ვიზიტორთა ცენტრში არსებული მოკლე კითხვარებიდან, ყოველწლიურად.	ყოველწლიური APA-ს სტატისტიკა	
2.14 ოპერაციული გეგმის შესრულების შეფასება.	ოპერაციული გეგმის განხორციელების ყოველი სამწლიანი ციკლის დასრულებამდე ნახევარი წლით ადრე, ხელმისაწვდომია შეფასების ანგარიში, რომელშიც პროგრამების განხორციელებაზე კრიტიკულ მოსაზრებებთან ერთად შეფასებულია შესრულების ეფექტურობა მიზნების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს კინტრიშის დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.	ოპერაციული გეგმის შეფასების ანგარიში	
2.15 მენეჯმენტის გეგმის განხორციელების სრული შეფასების ჩატარება.	მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლის დასაწყისში მენეჯმენტის გეგმის შეფასების ანგარიშია ხელმისაწვდომი, რომელიც პროგრამების განხორციელებაზე, კრიტიკულ მოსაზრებებთან ერთად მოიცავს მათი სრული ეფექტურობის შეფასებას მიზნების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს კინტრიშის დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.	მენეჯმენტის გეგმის განხორციელების შეფასების ანგარიში	
2.16 კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ბეჭდვითი მასალის	მონაცემთა ბაზა/საინფორმაციო სისტემა (ელექტრონული ბიბლიოთეკა) არსებობს, რომელშიც ინახება და	(სამოქმედო გეგმები, კვლევითი ანგარიშები, საგანმანათლებლო	



კატალოგის (ბიბლიოთეკის) შექმნა და ელექტრონულად აღრიცხვა	ხელმისაწვდომია კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მასალა.	მასალები, სახელმძღვანელოები, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები)	
2.17 ფიტოპათოლოგიური კვლევების განხორციელება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი კვლევის ჩატარება.	ხელმისაწვდომია კვლევის შედეგები.	შესაბამისი ანგარიში.	საჭიროების შემთხვევაში კვლევით ინსტიტუტების/მეცნიერების ჩართვა
2.18 მეტეოროლოგიური და კლიმატური მონაცემების შეგროვება ავტომატური მეტეოსადგურის საშუალებით.	მეტეოროლოგიური და კლიმატური მონაცემები შეგროვებულია და ასახულია ბუნების მატრიანეში.	ბუნების მატრიანეში ასახული მეტეო – და კლიმატური მონაცემები.	
2.19 ინფორმაციის შეგროვება არასისტემური ბუნებრივი მოვლენებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის შესახებ.	მონაცემები ბუნებრივი მოვლენების შესახებ მისაწვდომია.	მონაცემები ბუნებრივი მოვლენების შესახებ ასახული ბუნების მატრიანეში.	
2.20 კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის კონფლიქტისა და მიყენებული ზარალის შესწავლა.	აღწერილია ადგილობრივ მოსახლეობასა და მტაცებლებს შორის მომხდარი შემთხვევები და ზარალი.	პოპულაციის რაოდენობრივი მონაცემები. მიყენებული ზარალის სტატისტიკა მონაცემთა ბაზა.	ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. საჭიროების შემთხვევაში გარე ექსპერტების ჩართვა.

მიზანი 3. პრიორიტეტული სამეცნიერო საკითხები გადაჭრილია სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის გზით დაცული ტერიტორიების ადაპტური მენეჯმენტის ხელშეწყობის მიზნით.

ინდიკატორი 3: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ინფორმაციის დეფიციტის მინიმუმ 50 %-ია შევსებული, იმ კვლევითი პროექტების ნუსხის მიხედვით, რომელიც შედგება მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელს.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1. კვლევითი ინსტიტუტებიდან კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვება და სისტემატიზირება (მოწესრიგება) და კონსერვაციის თვალსაზრისით პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების გამოვლენა.	მონაცემები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომია შესაბამის მონაცემთა ბაზაში. პრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალი შეთანხმებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან.	პრიორიტეტული კვლევითი პროექტების ჩამონათვალის დოკუმენტი. ბუნების მატრიანე. წლიური ანგარიში.	
2. კვლევითი პროექტის განხორციელება ინვაზიური სახეობების შესასწავლად (სახეობების იდენტიფიცირება და მათი ზეგავლენის შესწავლა).	ინვაზიური სახეობების შესახებ კვლევითი პროექტი ინიცირებულია მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-5-ე წლისთვის. ინფორმაცია ინვაზიური სახეობების შესახებ შეტანილია მონაცემთა ბაზებში.	კვლევის ანგარიში. მონაცემთა ბაზა.	გარე ექსპერტების ჩართვა. პარტნირებთან თანამშრომლობის გზით კვლევების განხორციელება.
3. ტბიყელის ტბის შესახებ საბაზისო ინფორმაციის შეგროვება (ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური	მონაცემები ტბიყელის ტბის	ინვენტარიზაციის ანგარიში.	გარე ექსპერტების ჩართვა. პარტნირებთან



პარამეტრების განსაზღვრა, მათ შორის ტრიტონის პოპულაციის შესწავლა).	შესახებ ხელმისაწვდომია მე-9 წლისთვის.	მონაცემთა ბაზა.	თანამშრომლობის გზით კვლევების განხორციელება.
4. საბაზისო მონაცემების შეგროვება ტორფნარების შესახებ.	ტორფნარების შესახებ საბაზისო მონაცემები შეგროვებულია.	საბაზისო ინფორმაცია.	გარე ექსპერტების ჩართვა. პარტნიორებთან (კვლევითი ინსტიტუტები/კერძო კომპანიები) თანამშრომლობის გზით კვლევების განხორციელება.
5. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სკების დათვებისგან დაცვის მიზნით არსებული მეთოდების მოკვლევა.	სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სკების დათვებისგან დასაცავად რეკომენდაციები ხელმისაწვდომი.	კვლევის ანგარიში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სკების დათვებისგან დასაცავად.	გარე ექსპერტების ჩართვა.
6. ვიზიტორთა მენეჯმენტისა და ტევადობის შესწავლა კინტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის	ტურისტული ტევადობა განსაზღვრულია კინტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის. ტურიზმის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად გამოვლენილია ღონისძიებები.	ტევადობის კვლევის ანგარიში, ტურისტების ნეგატიური ზეგავლენის მართვის ღონისძიებების ნუსხა.	გარე ექსპერტების ჩართვა. პარტნიორებთან (კვლევითი ინსტიტუტები/კერძო კომპანიები) თანამშრომლობის გზით კვლევების განხორციელება.
7. ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატების ეტაპობრივი შესწავლა და მონიტორინგი	ხელმისაწვდომია მონაცემები ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატებისა და სახეობები შესახებ.	მონაცემთა ბაზა.	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, გარე ექსპერტების ჩართვა.

მუხლი 46. ხანძრების, მავნებელი მწერებისა და სოკოების და დაავადებების მენეჯმენტის პროგრამა

აღნიშნული პროგრამა მიმართულია თავიდან აიცილოს და რეაგირება მოახდინოს ხანძრებით გამოწვეული (ანთროპოგენურ და ბუნებრივი ხანძრებით) საფრთხისაგან აგრეთვე თავიდან აიცილოს ან მართოს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებისადმი დაავადებებითა და მავნებლებით მიყენებული ზიანი.

მიზანი 4: ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი კონტროლდება ან შემცირებულია.			
ინდიკატორი 4: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლის დასასრულს, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით, 50%-ით შემცირდა ხანძრებით, მავნებლებითა და დაავადებებით გამოწვეული ზიანი.			
ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალება	წინაპირობა
4.1 ფიტოპათოლოგიური კვლევების რეგულარულად ჩატარება. ტყის მავნებელი მწერების, სოკოებისა და დაავადებების გავრცელების კერების იდენტიფიცირება და არსებობის შემთხვევაში მართვის გეგმის შემუშავება 2.10 აქტივობის გათვალისწინებით.	კინტრიშის ეროვნულ პარკში გამოვლენილია დაავადებებისა და ტყის მავნებლების გავრცელების კერები. შედგენილია ტყის მავნებლებისა და დაავადებების მართვის გეგმა.	დაავადებების და ტყის მავნებელთა გავრცელების კერების ნუსხა. მართვის გეგმა.	კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.
4.2 ტყის მავნებლებთან ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებების	4.1-ით ქმედებით გამოვლენილი მავნებლების წინააღმდეგ ჩატარებულია	ტყის მავნებლებზე დაკვირვების ამსახველი	შესაძლოა კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა



განხორციელება საჭიროების შემთხვევაში.	აუცილებელი საკონტროლო ღონისძიებები.	ანგარიში და მათ წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ანგარიში.	დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.
4.3 ინვაზიური სახეობების საჭიროებისამებრ და არსებული შესაძლებლობების მიხედვით მოშორება (მაგ. დიდვაკეში ცრუაკაციის (<i>Robinia pseudoacacia</i> L.), <i>Hemarthria altissima</i> Poir. Stapf & C. E. Hubb), ჭიაფერას (<i>Phytolacca Americana</i> L.), ლაკარტიას (<i>Paspalum dilatatum</i> Poir.) მოშორება, ა.შ.)	ინვაზიური სახეობების მოსაშორებლად ყველა შესაძლო და აუცილებელი ღონისძიება გატარებულია.	მონაცემთა ბაზა და მონიტორინგის ანგარიში ინვაზიური სახეობების გავრცელების შესახებ.	შესაძლოა კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.

მუხლი 47. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა მიზნად ისახავს ტრადიციული გამოყენების ზონაში ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფას. ძირითადად აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და ამავედროულად დაარეგულიროს ტყის რესურსებისა და საძოვრების მართვის საკითხები.

მიზანი 5. უზრუნველყოფილია კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტრადიციული გამოყენების ზონის ბუნებრივი რესურსები მდგრადად გამოყენება.

ინდიკატორი 5: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების დასასრულისთვის, სულ მცირე არ ხდება დეგრადირებული საძოვრების ფართობის და დეგრადაციის გაზრდა და ტყის ფართობისა და ხარისხის შემცირება მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პარალელურად.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1. ტყის ინვენტარიზაციის განხორციელება და ტყის მართვის გეგმის შედგენა.	ჩატარებულია ინვენტარიზაცია. ტყის მართვის გეგმა შემუშავებულია.	ტყის ინვენტარიზაციის ანგარიში და ტყის მართვის გეგმა.	დამატებითი დაფინანსება. თანამშრომლობა საკონსულტაციო კომპანიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან
2. ადგილობრივი მოსახლეობისთვის საშუალო ხე-ტყის გაცემის საკითხების დაარეგულირება ტრადიციული გამოყენების ზონაში.	ტყის მართვის გეგმის მიხედვით დადგენილია კვოტები.	მერქნული რესურსების მოპოვებაზე წლიური ანგარიში. წლიური ოქმები გაცემული საშუალო მერქნის მოპოვების ლიცენზიების შესახებ.	
3. საძოვრების მდგომარეობაზე დაკვირვება, საჭიროებისამებრ საძოვრების მართვის გეგმის მომზადება და მისი განხორციელება.	საიჯარო ხელშეკრულებები რომელშიც დადგენილია ძოვების ნორმები, პირუტყვის სიმჭიდროვე, ა.შ. საძოვრების მართვის გეგმის მიხედვით	საიჯარო ხელშეკრულება	საჭიროებისამებრ გარე ექსპერტის ჩართვა, დამატებითი დაფინანსების მოზიდვა.
4. ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება	ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია	ნარჩენების მართვის გეგმის დოკუმენტი	საჭიროებისამებრ გარე ექსპერტის ჩართვა, დამატებითი დაფინანსების მოზიდვა.

მუხლი 48. სახეობათა კონსერვაციის/აღდგენის პროგრამა



ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროგრამა მიმართულია კინტრიშის დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ღირებულების – კოლხური ბზისა (*Buxus colchica* Pojark), შავი ზღვის ორაგული (*Salmo trutta fario*) და წაბლის (*Castanea sativa* Mill) პოპულაციის კონსერვაციის ხელშესაწყობად. პროგრამა გამიზნულია ხელი შეუწყოს აღნიშნული სახეობების აღდგენას, რომლებაც განიცადეს უარყოფითი ზეგავლენა.

მიზანი 6. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კონსერვაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებებით უზრუნველყოფილია კინტრიშის დაცული ტერიტორიების საფრთხის წინაშე მდგარი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა.

ინდიკატორი 6: მენეჯმენტის გეგმის განხორციელების დასასრულისთვის საფრთხის წინაშე მდგარი ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების ღირებულებების კონსერვაციული სტატუსი გაუმჯობესებულია მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
1. კოლხური ბზის აღდგენის შესაძლებლობის კვლევა კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე: კოლხური ბზის აღდგენის პროგრამის შემუშავება და დაფინანსების მოძიება.	მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-3 წელს გამოვლენილია კოლხური ბზის აღდგენის ღონისძიებები.	ბზის აღდგენის შესაძლებლობის კვლევის ანგარიში.	კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.
2. შავი ზღვის ორაგული ლიფსიტების განადგურების მიზეზების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. შავი ზღვის ზუთხის კონსერვაციის პროგრამის შემუშავება და დაფინანსების მოძიება საჭიროებისამებრ.	მენეჯმენტის გეგმის განხორციელებიდან მე-3-ე წლისთვის, გამოვლენილია შავი ზღვის ორაგულის აღდგენის ღონისძიებები და ხელმისაწვდომია კინტრიშის ადმინისტრაციისთვის.	კვლევის ანგარიში. შავი ზღვის ზუთხის ლიფსიტების კონსერვაციის პროგრამის საპროექტო წინადადება.	კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.
3. წაბლის პოპულაციის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში აღდგენის ღონისძიების განხორციელება	მენეჯმენტის გეგმის განხორციელებიდან მე-3-ე წლისთვის, შესწავლილია წაბლის პოპულაცია და საჭიროების შემთხვევაში გამოვლენილია ხაბლის აღდგენის ღონისძიებები	წაბლის აღდგენის შესაძლებლობის კვლევის ანგარიში.	კვლევით ინსტიტუტებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.

მუხლი 49. ეკოტურიზმისა და ვიზიტორთა მენეჯმენტის პროგრამა

ეკოტურიზმის პროგრამა მიმართულია შექმნას და გააძლიეროს არსებული პოტენციალი და შესაძლებლობები კინტრიშში ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით და თავიდან აიცილოს ძირითად ღირებულებებზე ტურიზმის უარყოფითი ზეგავლენა.

მიზანი 7. კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე განვითარებულია ინფრასტრუქტურა, რომლებიც ხელს უწყობს კინტრიშის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის პოტენციალის გამოვლენას ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე.

ინდიკატორი 7. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის კინტრიშის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიისა სამოქმედო გეგმის მიხედვით გამოვლენილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მინიმუმ 25 %-ია ინიცირებული და ამავდროულად ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები არ იზრდება.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
7.1 კინტრიშის ხეობისათვის			



დამახასიათებელი, ადგილობრივი ტრადიციებისა და ბუნებრივ გარემოსთან შეხამებული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკისა და სტანდარტების განსაზღვრა.	არსებობს შესაბამისი პოლიტიკა და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებისთვის.	ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა კონტრინისთვის (საჯარო დოკუმენტი).	ქობულეთის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა
7.2 ცხემვანში ვიზიტორთა ცენტრის შექმნა/რემონტი.	გარემონტებულია და ფუნქციონირებს ვიზიტორთა ცენტრი.	ანგარიში ვიზიტორთა ცენტრი სარემონტო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი ფოტო-მასალა.	გარე დაფინანსება
7.3 ცხემვანში (ვიზიტორთა ცენტრისგან გამოყოფილი) რეინჯერთა თავშესაფარის მშენებლობა	რეინჯერთა თავშესაფარი არსებობს და ფუნქციონირებს.	ანგარიში რეინჯერთა ცენტრის სამშენებლო სამუშაოების შესახებ შესაბამისი ფოტო მასალა.	გარე დაფინანსება
7.4 მტირალას ბილიკზე ვიზიტორთა თავშესაფარის მშენებლობა ზერაბოსელში, მტირალა-კინტრიშის ბილიკის მოწყობის შემდგომ და შესაბამისად საპიკნიკე ადგილების მოწყობა ზერაბოსელში (სანიტარული კვანძების/საპირფარეშოების განახლება/მოწყობა).	ადგილზეა ვიზიტორთა თავშესაფარი და საპიკნიკე ადგილი.	შესაბამისი საპროექტო მასალები.	მტირალას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა.
7.5 ახალი კომბინირებული რეინჯერთა/ვიზიტორთა თავშესაფარის მშენებლობა ტბიყელის ტბასთან.	ადგილზეა ვიზიტორთა/რეინჯერთა თავშესაფარი.	შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია. ფოტო-მასალა.	გარე დაფინანსება.
7.6 ცხემვანში, ვიზიტორთათვის პატარა საინფორმაციო ცენტრისა და კუთხის მოწყობა ადგილობრივი პროდუქტების, საინფორმაციო ბუკლეტების, რუკების, ა.შ. გასაჯრცელებლად.	ვიზიტორთა თავშესაფარში გამოყოფილია კუთხე ადგილობრივი პროდუქტებისა და საინფორმაციო მასალების გასაჯრცელებლად.	ფოტო მასალა.	გარე დაფინანსება.
7.7 საკემპინგე ადგილის რეაბილიტაცია ხინოსა და ვიზიტორთა თავშესაფარის მახლობლად	მინიმუმ 2 საკემპინგე ადგილი განახლებულია ვიზიტორთა თავშესაფარის მიმდებარედ და ხინოში	შესაბამისი საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ამსახველი ანგარიში.	გარე დაფინანსება.
7.8 ვიზიტორთა თავშესაფარის მიმდებარედ საპიკნიკე ადგილის შექმნა	სახურავები და პოსტერები განახლებულია არსებულ საპიკნიკე ადგილზე.	სარემონტო სამუშაოების ამსახველი შესაბამისი მასალები და ფოტოები.	გარე დაფინანსება.
7.9 საპიკნიკე ადგილების განახლება ზერაბოსელსა და მტირალას ბილიკის საწყის წერტილში.	ადგილზეა შექმნილი 2 საპიკნიკე ადგილი (კოორდინატები: 37T742911 E, 44624257.00 N).	შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო მასალები/დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.10 საპიკნიკე და საკემპინგე ადგილების მოწყობა „უთხოვარის ბილიკის“ დასაწყისში	ადგილზეა ახალი საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები.	შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო მასალები/დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.11 საბავშვო მოედნის მოწყობა ვიზიტორთა ცენტრთან (საკემპინგე ადგილსა და ვიზიტორთა ცენტრს შორის)	ვიზიტორთა ცენტრთან ადგილზეა საბავშვო მოედანი.	შესაბამისი საპროექტო და სამშენებლო მასალები/დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.12 კინტრიში-მტირალას ბილიკის მოწყობა.	განახლებულია ბილიკი, მოწყობილია ხიდები და საორიენტაციო ნიშნულები.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.13 ეთნოგრაფიული ბილიკის მოწყობა ხინოში დიდვაკედან ხინოსკენ, არსებული საინფორმაციო ნიშნებისა და საინტერპრეტაციო დაფების განახლება.	ბილიკი მოწყობილია, ადგილზეა საინტერპრეტაციო დაფები.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.



7.14 მცირე ჩანჩქერისკენ მიმავალი თემატური ბილიკის მოწყობა	ახალი ბილიკი მოწყობილია შესაბამისი საინფორმაციო დაფებით, ხეების დასახელებით.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია, SPPA-Georgia
7.15 „ჯუნგლების ბილიკის“ მოწყობა, მდინარე კინტრიშის გასწვრივ ვიზიტორთა თავშესაფრიდან 500 მ მანძილზე პატარა ჩანჩქერამდე ასასვლელოა.	ხის ბილიკი მდინარე კინტრიშის გასწვრივ მოწყობილია.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.16 ხინოდან დაცული ტერიტორიის საზღვრამდე არსებული ბილიკის განახლება ხინოდან პერანგას მთამდე	ბილიკი განახლებულია.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.17 ხინოდან ტბიყელის ტბისკენ მიმავალი ბილიკის განახლება და მარკირება (12კმ)	არსებული ბილიკი, განახლებული მარკირებით და საინფორმაციო ნიშნულებით.	ბილიკების მოწყობასთან დაკავშირებული საპროექტო და სამშენებლო დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.
7.18 საინფორმაციო დაფების მონტაჟი ვიზიტორთა ქვევების წესებისა და რეგულაციების მითითებით, ტბიყელის ვიზიტორთა ცენტრთან (ნარჩენების დახარისხების, სისუფთავის, ცეცხლის დანთების, და სხვა ქვევების წესების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით)	მინიმუმ 5 საინფორმაციო დაფა ადგილზეა.	საინფორმაციო დაფების საპროექტო დოკუმენტაცია და ფოტო მასალა	გარე დაფინანსება.
7.19 არსებული საინფორმაციო დაფების განახლება ან ჩანაცვლება.	მინიმუმ 16 საინფორმაციო დაფა განახლებულია ან ჩანაცვლებულია.	საინფორმაციო დაფების განახლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ფოტო მასალა	გარე დაფინანსება.
7.20 ნიშნულების განთავსება და მარკირება ვიზიტორთა თავშესაფრიდან გამომავალ ყველა ბილიკზე (პარკის შესასვლელთან)	ნიშნულები და მარკირება განახლებულია.	ბილიკების განახლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.	გარე დაფინანსება.

მიზანი 8. კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე განვითარებულია სერვისები და ეკოტურისტული პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობს კინტრიშის ეკოტურიზმის პოტენციალის გამოვლენას ეკოლოგიური მთლიანობის ხელყოფის გარეშე.

ინდიკატორი 8. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წლისთვის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების ეკო-ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა სამოქმედო გეგმის მიხედვით გამოვლენილი სერვისების და ეკოტურისტული პროდუქტების, მინიმუმ ნახევარი ხელმისაწვდომია და ამავდროულად ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საფრთხეები არ იზრდება.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
8.1 ადგილობრივი მომწოდებლების ხელშეწყობა ტურისტული პროდუქტის: საცხენოსნო აქტივობების, სამთო ველოსიპედების განვითარებისა და შეთავაზების მიმართულებით	ხელმისაწვდომია ეკო-ტურიზმის სტრატეგიაში რეკომენდირებული სულ მცირე ორი ტურისტული პროდუქტი.	ტურისტული პროდუქტების ნუსხა.	კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან, კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მეშვეობით.
8.2 ადგილობრივი პროდუქტის მხარდაჭერა, შეფუთვა, სერტიფიცირება და გაყიდვა (თაფლი, თაფლის ჭაჭა, გოგრა, მარცვლოვნები, დამარინადებული ზოსტნეული, რძის პროდუქტების, ტყემალი) კინტრიშის ეროვნული პარკის ეტიკეტით	მინიმუმ 3 პროდუქტს აქვს კინტრიშის ეროვნული პარკი ეტიკეტი	ადგილობრივი პროდუქტის გაყიდვების შესახებ ფინანსური ანგარიში მაღაზიიდან . ფოტო მასალა	კინტრიშის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან, კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის მეშვეობით.



მიზანი 9. კინტრიშის დაცული ტერიტორია, ეკოტურისტული თვალსაზრისით წარმოადგენს ცნობილ ტურისტულ ადგილს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ინდიკატორი 9. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების მე-9 წელს, ვიზიტორთა რაოდენობა და მათი კმაყოფილება 50%-ით გაზრდილია, მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პირველ წელთან შედარებით.

ქმედებები	ინდიკატორები	ინდიკატორის შემოწმების საშუალებები	წინაპირობა
<p>9.1 კინტრიშის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა სარეკლამო მასალების მომზადება.</p>	<p>სულ მცირე ბარათების ერთი ნაკრები, თითო ნაკრებში მთელი რეგიონის ამსახველი 5-10 ფოტოთი, გამოცემულია და იყიდება ვიზიტორთა მომსახურების ცენტრში.</p> <p>განახლებული 500-მდე რუკა ხელმისაწვდომია, ახალი ტურისტული ბილიკების მოწყობისა და მარკირების შემდეგ.</p> <p>ბილიკების ამსახველი 500-მდე ბროშურა.</p>	<p>რუკები, ბარათები, ბროშურები.</p>	<p>საჭიროებს პარტნიორების და დონორების დახმარებას.</p>
<p>9.2 დაცული ტერიტორიების ვებ-გვერდზე კინტრიშისადმი მიძღვნილი ქვე-ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და კინტრიშის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია სოციალური მედიის საშუალებებით.</p>	<p>კინტრიშის დაცული ტერიტორიებისადმი მიძღვნილ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ახალი ამბები. დაცული ტერიტორიების ფეისბუქ გვერდის, მუნიციპალიტეტისა და სხვა შესაბამისი ვებგვერდებისა და სოციალური მედიის საშუალებით გავრცელებული სიახლეები.</p>	<p>დაცული ტერიტორიების ვებგვერდი.</p> <p>სოციალური მედიის შესაბამისი ვებ-გვერდები.</p> <p>ვებგვერდის სტატისტიკა.</p> <p>ფეისბუქი და ფეისბუქზე ვიზიტების სტატისტიკა.</p>	
<p>9.3 ელექტრონული საშუალებით ტუროპერატორებთან კომუნიკაცია სხვადასხვა პროდუქტებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.</p>	<p>ტუროპერატორებთან რეგულარულად იგზავნება ელექტრონული სიახლეები. ასევე A4 ფორმატზე ამობეჭდილი მარტივი სახით ინფორმაცია მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს წელიწადში 2-ჯერ მაინც.</p>	<p>ელექტრონული ნიუსლეტერი.</p>	
<p>9.4 კინტრიშის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია სხვადასხვა მედია საშუალებებით.</p>	<p>სულ მცირე ერთი მედიატურია ორგანიზებული ყოველწლიურად ეროვნული მედიის წარმომადგენლებისათვის.</p> <p>სულ მცირე 2 სტატია ქვეყნდება ყოველწლიურად კინტრიშის დაცული ტერიტორიების ღირებულებების შესახებ ეროვნულ ბეჭდურ მედიაში.</p> <p>სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა ეკოტურიზმისადმი და დაცული ტერიტორიებისადმი მიძღვნილ გადაცემაში კვარტალში ერთხელ მაინც.</p> <p>სულ მცირე ერთი სარეკლამო კამპანია წარმოებს ყოველწლიურად ეროვნული მედია საშუალებებით.</p>	<p>რეკლამები.</p> <p>ვიდეო რგოლები.</p> <p>სტატიები/სატელევიზიო პროგრამებში გაშუქება.</p>	<p>საჭიროებისამებრ დამატებითი დაფინანსება.</p>
